# აჭარა

გამოცემის 104-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის პარასკეობით

№12 (25.140) 29 მარტი, 2024 წ. 50 თეთრი


**გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით**



დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 17-22, მთიან რაიონებში - 10-15 გრადუსი სითბო. ზღვის წყლის ტემპერატურა 11 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 762 მილიმეტრი.

ხვალ მოსალოდნელია დროგამოშვებით წვიმა, მომდევნო 2 დღეს - უნალექო ამინდი.

# საქართველოში დიდი სიყვარული დააბიჯებდა – ქართული ფეხბურთის ტრიუმფი! გამარჯობა, ევროპა!

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

*2024 წლის 26 მარტი უკვე ისტორიაა, ეს დღე ისევე შევიდა „ოქროს ასოებით“ ქართული ფეხბურთის ისტორიაში, როგორც რამდენიმე დაუვიწყარი თარიღი (თუნდაც 1981 წლის 13 მაისი, როცა თასების მფლობელთა თასი მოვიგეთ) - ამ დღეს შედგა ისტორიული მატჩი საქართველოსა და საბერძნეთის ნაკრებებს შორის, რომელმაც გამარჯვება ჩვენ მოგვიტანა*

სწორედ ამ გამარჯვებით, ყოველგვარი „დეკლარაციებისა“ და „დადგენილებების“ გარეშე, შევაბიჯეთ ევროპაში და ეს დამოუკიდებელმა საქართველომ შეძლო. პენალტების სერიით ანგარიშით 4:2 დავამარცხეთ საბერძნეთის ნაკრები, გუნდი, რომელთანაც არაერთი წაგება გვქონდა.

... ეს მატჩი არა მგონია, ვინმეს არ ენახა, მაგრამ გაზეთისთვის, ისტორიისთვის მაინც გავიხსენებთ. მატჩი, მიუხედავად იმისა, რომ გოლი ვერცერთმა მხარემ ვერ გაიტანა, სანახაობრივად ძალიან დაძაბული გამოდგა.. ჩაკვეტაძის საჯარიმოდან დარტყმული ბურთი მეტოქის მეკარემ მოიგერია, მერე კვარაცხელიას მცველებმა გოლის გატანის შანსი არ გამოაყენებინეს. საერთოდ, კვარაცხელიაზე „დიდი ნადირობა“ მოეწყო. დამატებით პირველ ტაიმში ბერძნებმაც ვერ გამოიყენეს გოლის გატანის შანსი - გიორგი მამარდაშვილმა მოიგერია ეს ბურთი. 101-ე წუთზე ბერძნებმა თავური დაარტყეს, მაგრამ გადავრჩით, ბურთი ძელს მოხვდა. ძირითად დროში რამდენიმე სახიფათო ეპიზოდი კი შეიქმნა, მაგრამ გოლი არა და არ გავიდა. დამატებითი 15-წუთიანებიც უშედეგოდ დასრულდა. დადგა ყველაზე მეტად სანერვიულო და გადამწყვეტი წუთები - პენალტების სერია, რომელიც ორივე გუნდისთვის ყოველთვის დაძაბულად მიმდინარეობს. აქ უნდა დაესვას მატჩს წერტილი და ვის სასარგებლოდ იქნება ეს, არავინ უწყის, ერთი შეცდომა და... უკან ველარაფერს დააბრუნებ. იმან, ჩოჩიკაშვილმა რომ პირველივე დარტყმული ულამაზესი გოლი გაუტანა ბერძნებს, თითქოს თავდაჯერება შეგვმატა, იმანაც, რომ გიორგი მამარდაშვილმა ბერძენი ფეხბურთელის მიერ მის კარში დარტყმული პირველი გოლი აიღო.... ისტორიული დარტყმა კი კვეკვესკირმა შეასრულა... ამის შემდეგ მოხდა ის, რაც ახლავს ხოლმე ასეთ მნიშვნელოვან მატჩში გამარჯვებას - ემოციები, ყიჟინა, თვალებზე ცრემლები, გადახვევა-ჩახუტებები, რომელმაც არა მხოლოდ მთელი სტადიონი, მთელი საქართველო გააერთიანა (ფეხბურთს ხომ არა მარტო სტადიონზე უყურებდნენ, ამ დღისთვის ათობით ადგილი სპეციალურად გამოიყო - ბარებში, კაფეებში, რესტორნებში, ღია ცის ქვეშ დამონტაჟებულ მონიტორებთან ასეულობით ადამიანი შეიკრიბა... (გაზეთ „აჭარის“ თანამშრომლები სამსახურში ვადევნებდით თვალს ამ ისტორიულ მატჩს). არ დარჩენილა ქალაქი თუ სოფელი, სადაც ამ სიხარულმა არ შეაღწია. საქართველოში დიდი სიყვარული დააბიჯებდა და იგი ყველამ გაითავისა, ყველამ შეიგრძნო. ამის ენით აღწერა შეუძლებელია. მატჩის შემოქმედი ყველა ერთადაა - საქართველოს ეროვნული ნაკრების მთლიანი შემადგენლობა, მწვრთნელები, გულშემატკივარი.





რაც მატჩის დასრულების მერე ხდებოდა, ეს ცალკე აღსაწერია. მთელი საქართველო ქუჩაში გავიდა - დროშები, მანქანების სიგნალი, მილოცვები... ფეხბურთმა ყველა გააერთიანა. თამაშის შემდეგ ეროვნული ნაკრების ფეხბურთელები თბილისში, რესპუბლიკის მოედანზე შეკრებილ ათასობით გულშემატკივარს შეხვდნენ, სადაც პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე და ქალაქ თბილისის მერი კახი კალაძეც იმყოფებოდნენ. აქ გაჟღერდა, რომ მატჩის გმირებს ღირსების ორდენზე წარადგენენ.



წინ საუკეთესო თამაშები გველის. ევროპის ჩემპიონატს 14 ივნისიდან 14 ივლისის ჩათვლით, გერმანია უმასპინძლებს. ჩვენი გუნდი F ჯგუფში ითამაშებს და მისი მეტოქეები თურქეთის, პორტუგალიისა და ჩეხეთის ნაკრებები იქნებიან. ფინალი ბერლინის „ოლიმპიაშტადიონზე“ გაიმართება.

ვულოცავთ საქართველოს ნაკრებს ამ ისტორიულ გამარჯვებას, კიდევ ბევრჯერ გაეხარებინოს ქართველი გულშემატკივარი. ამ გამარჯვებამ დაგვარწმუნა, რომ თავდაუზოგავი შრომით, ბრძოლით, ჟინით ყველაფრის მიღწევა შეიძლება.

ISSN 2720-8702


## გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

# მოსალოდნელი ცვლილებები საკანონმდებლო ორგანოში და პასუხგაუცემელი კითხვები

**თამარ ლამპარაძე 595 85 80 06**

***მიმდინარე კვირა ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მკვეთრად აქტიური აღმოჩნდა. ფაქტია, საკანონმდებლო აქტივობები თავს „არ გვანატრებს“ და ამჯერადაც განხილვის მთავარი თემაა***

ეროვნულ-ოჯახური ღირებულებების დაცვის მოტივით „ქართულმა ოცნებამ“ საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტი მოამზადა, რომელიც პარლამენტს უნდა წარედგინოს. ცვლილებები კონსტიტუციის 30-ე მუხლს ეხება, რომელიც ქორწინებას, დედათა და ბავშვთა უფლებებს განსაზღვრავს. კანონპროექტის მიხედვით, მას მესამე პუნქტი დაემატება შემდეგი ჩანაწერით: „ოჯახურ ღირებულებათა და არასრულწლოვანთა დაცვა უზრუნველყოფილია საქართველოს კონსტიტუციური კანონით, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის განუყოფელი ნაწილია“. „ქართულმა ოცნებამ“ ლგბტ პროპაგანდის საწინააღმდეგო ინიციატივები წარადგინა - ვის აქვს არასრულწლოვნის შვილად აყვანის ან მინდობით აღზრდის შესაძლებლობა, ასევე, დასაშვებია თუ არა სქესის შეცვლა ქირურგიული ჩარევით... ეს წარმოდგენილი კანონპროექტის ნაწილია. ალბათ, არავის გაჰკვირვებია, რომ ოპოზიცია ამ კანონპროექტსაც არ უჭერს მხარს. ცვლილებებს 113 ხმა სჭირდება და შესაბამისად, ოპოზიციის ხმები აუცილებელია, მაგრამ „ჰოი, საოცრებავ“, ოპოზიცია მუდმივი უარის რეჟიმში რჩება. მიუხედავად ამისა, „ქართული ოცნება“ ლგბტ პროპაგანდის წინააღმდეგ კანონის მიღებას მაინც აპირებს. მმართველი გუნდის გენერალურმა მდივანმა მამუკა მდინარაძემ განაცხადა, რომ სახელმწიფოს პასუხისმგებლობაა, დაიცვას ნებისმიერი ადამიანის ყველა კონსტიტუციური უფლება და თავისუფლება, როგორი არატრადიციული და განსხვავებული ცხოვრების წესიც უნდა გააჩნდეთ ამ ადამიანებს და მეორე მხრივ, ასევე, სახელმწიფომ ძალიან პრინციპულად უნდა დაიცვას ოჯახური ღირებულებები და მომავალი თაობები ფსევდოლიბერალური პროპაგანდის მოსალოდნელი გამოუსწორებელი შედეგებისგან.

აჭარის უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ცოტნე ანანიძე ამბობს, რომ მთავარია, ნებისმიერი მუხლი, რომელიც შევა ძალაში, წინააღმდეგობაში არ მოვიდეს ადამიანის ძირითად უფლებებთან და თითოეულის უფლებები იყოს დაცული. მისი თქმით, კანონპროექტში არ არის საუბარი რომელიმე ადამიანის შეზღუდვაზე ან დისკრიმინაციულ მიდგომაზე.

ოპოზიციას ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვა სულ სხვანაირად ესმის. მათი გაგებით, ეს არის ემიგრანტების საქართველოში, საკუთარ ოჯახებში დაბრუნება, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრ გია აბულაძის თქმით, საქართველოს მთავრობა საერთოდ ჩამოშორდა ქართველი ხალხის მოთხოვნებსა და მისწრაფებებს. მან ამ კანონპროექტს ვირტუალური საფრთხეც უწოდა და მეტიც, მისი აზრით, ეს ყველაფერი საარჩევნო პროპაგანდასთან ერთად რუსულ ნარატივსაც შეიცავს.

ოპოზიციის ამგვარი ახსნა გასაკვირი არც უნდა ყოფილიყო. თუ თვალს გადავავლებთ ოპოზიციის მიერ განხორციელებულ აქციებს, თითქმის ყველგან ოპოზიცია და ლგბტ აქტივისტები ერთმანეთის გვერდით დგანან და პირიქით. მოკლედ, როგორც მჭადი და ყველი, ისე უხდებიან ერთმანეთს. თუ ოპოზიციონერები, კერძოდ, „ნაციონალები“ ამ კანონპროექტს ხელს მოაწერენ, ეს იმის მანიშნებელი იქნება, რომ ისინი ლგბტ თემის წინააღმდეგ მიმავალ გზას დაადგებიან, ეს კი არ სურთ. მიმდინარე წელი საარჩევნოა და ისედაც, მეტ-ნაკლებად, ხმადაკარგულ ოპოზიციას ნამდვილად არ აძლევს ხელს კიდევ უფრო მეტი ხმის წყლისთვის გატანება. ხომ გაგიგიათ, რომ ასჯერ უნდა დაფიქრდე და ერთხელ გაჭრა, ჰოდა, ოპოზიციაც ღრმად ფიქრის პროცესშია. არასამთავრობო ორგანიზაცია „თბილისი პრაიდი“, რომელიც ლგბტ თემის გვერდით დგას, ლოგიკურია, რომ არ მიესალმება აღნიშნულ კანონპროექტს. ისინი ყოველთვის აღნიშნავდნენ, რომ საქართველოში ლგბტ ადამიანების უფლებები დაუცველია და არაა გამორიცხული, რომ უფრო მეტად შეებრძოლონ მთავრობის გადაწყვეტილებებს, ვიდრე აქამდე.

კანონპროექტის იმ პუნქტთან დაკავშირებით, სადაც საუბარია იმაზე, რომ სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ გაცემულ დოკუმენტში მიეთითება მხოლოდ მდედრობითი ან მამრობითი სქესი, რომელიც პიროვნების გენეტიკურ მონაცემებს შეესაბამება, შეიძლება განსაკუთრებულად გამოიკვეთოს ლგბტ თემის უკმაყოფილება, რადგან ჩვენს ქვეყანაში ხშირია შემთხვევები, როდესაც ტრანსგენდერ ადამიანს, რომელიც ქალად გრძნობს თავს, ჯარში გაწვევის დოკუმენტი მიუღია და ეს მისთვის მიუღებელი ყოფილა, ვინაიდან მამაკაცად მიიჩნიეს. არ იქნებოდა ურიგო, ამ მუხლის სწორად ჩამოყალიბებაზე მმართველ გუნდში მეტი ეფიქრათ. ფაქტი ერთია, ლგბტ საზოგადოება და მისი დამცველები, აღნიშნული კანონპროექტის გამო, უფრო მეტად გადაიმტერა მთავრობამ, თუმცა მოიგო საზოგადოების უფრო ფართო ნაწილის გული.

უნდა შევეხოთ არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსების საკითხს, რომელიც ისევ აქტუალურია. „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები ისევ ინტერესდებიან არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსების წყაროებით, მაგრამ „ენჯეოები“ ამ თემაზე კვლავ დუმან. მესამე სექტორის დუმილი მმართველი პარტიისთვის კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ისინი საზოგადოებას კონკრეტულ ხარჯებს და მათ რეალურ მიზეზებს უმალავენ. ვისი ფული ტრიალებს არასამთავრობო ორგანიზაციებში? შეკითხვა დასმულია, მაგრამ „არსით ხმა, არსით ძახილი“. დუმილი თანხმობის ნიშანიაო და იქნებ, არასამთავრობოებიც ეთანხმებიან „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს იმაში, რაშიც ეჭვი



ეპარებათ. აგენტების შესახებ ე.წ. რუსული კანონის ინიცირებისას, ოპოზიცია და არასამთავრობოები ერთ მუშტად შეიკრნენ, აღნიშნულმა კანონმა ხალხის აგრესიაც გამოიწვია და „ოცნებამ“ უკან დაიხია. საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი მამუკა მდინარაძე ითხოვს, არასამთავრობოებმა პირობა შეასრულონ და ხალხს ამცნონ, საიდან და რისთვის ფინანსდებიან.

პარტია „ხალხის ძალაშიც“ მმართველი გუნდის მსგავსი პოზიცია ფიქსირდება. ამ პარტიის წევრი ნინო ცხვარაძე ჩვენთან საუბარში ამბობს, რომ საქართველოს მოქალაქეებმა უნდა იცოდნენ, რა მიზნით შემოდის უცხოეთიდან ფული.

- რატომ უნდა იყოს სხვებისთვის დისკომფორტი გამჭვირვალობა? მათი მისამართით, ვინც ამას ეწინააღმდეგება, ბუნებრივია, ჩნდება გონივრული ეჭვი, რომ არაკეთილსინდისიერი მიზნებისთვის ფინანსდებიან, - ამბობს ბათუმის საკრებულოს დეპუტატი.

რა გასაკვირია, რომ ფინანსების გამჭვირვალობის პრობლემას ისევ ვერ ხედავს ოპოზიცია. ოპოზიციური პარტიების ნაწილიც ხომ არასამთავრობოებთან ასოცირდება. ბევრი, და არცთუ უსაფუძვლოდ, ფიქრობს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები აფილირებულია ზოგიერთ ოპოზიციურ პარტიასთან და ერთმანეთს ეხმარებიან. ნიკა მელიას ციხიდან გამოსვლის 50000-ლარიანი გირაო ევროკავშირის წარმომადგენლობამ გადაუხადა, ეს გირაო რომ დანიშნულების ადგილზე მივიდა, არასამთავრობო ორგანიზაცია „საიას“ დამსახურებაა. მათ შეასრულეს შუამავლის როლი ევროკავშირსა და ხელისუფლებას შორის. ასევე, ემთხვევა არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ოპოზიციის აზრებიც მოსამართლეების უვადოდ დანიშვნასთან დაკავშირებით და ზოგადად, მათი აზრი ხშირადაა თანხვედრაში. სიტყვა „არასამთავრობო“ გვეუბნება, რომ მთავრობას არ ეკუთვნის, მაგრამ ოპოზიციის მიმართ ასეთი მხარდაჭერაც მეტისმეტია. ოპოზიციასა და მთავრობას შორის კვლავ გრძელდება ურთიერთდაპირისპირება, რაც ქართული პოლიტიკის თანმდევი ნაწილია. ამ დაპირისპირებამ არაერთხელ ნეგატიური როლი შესარულა როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური განვითარების თვალსაზრისით. დაველოდოთ მოვლენებს და ვნახოთ, ოდესმე თუ დავძლევთ ამ „მოუშორებელ სენს“, რომელიც ქართული პოლიტიკის „აქილევსის ქუსლია“.

# ბათუმის საკრებულოს მორიგი სხდომა – დაპირისპირების ფონზე

**მარიამ ხითარიშვილი 27 48 93**

დღის წესრიგით გათვალისწინებული 23 საკითხი და საკითხების განხილვაზე მეტი დრო პოლიტიკური განცხადებებისთვის - ოპოზიცია მმართველი გუნდის საქმიანობას, „ქართული ოცნება“ კი ახალ პარტიასა და „ნაცმოძრაობას“ აკრიტიკებდა. გაზრდილი ფასები საწვავსა და პროდუქტზე, სოციალური საკითხები და ქალაქში არსებული პრობლემები - ამ მიმართულებებზე კონცენტრირდა გამოსვლების დროს ოპოზიცია. „ქართული ოცნება“ კრიტიკას კონტრარგუმენტებით პასუხობდა.



საკრებულოს გადაწყვეტილებით, ქალაქ ბათუმის მერს ევროკავშირის პროგრამის ფარგლებში გამოცხადებულ კონკურსში მოპოვებული გრანტის მიღებისა და შესაბამისი შეთანხმებების გაფორმების თანხმობა მიეცა. საკრებულომ, ასევე, ცვლილება შეიტანა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხასა და პრივატიზაციის გეგმაში, რომლის მიხედვითაც განკარგულებით დამტკიცებულ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ საპრივატიზებო უძრავ ობიექტთა ნუსხას კიდევ რამდენიმე დაემატა. ცვლილება შევიდა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, იოსებ ნონეშვილის ქუჩა Ц 1-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ საკრებულოს განკარგულებაში. კერძოდ, იგი ითვალისწინებს, „ბათუმი ავარიული სახლების გარეშე“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, იოსებ ნონეშვილის ქუჩა Ц 1-ის მიმდებარედ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის გადაცემას აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაზე, შემდგომში მისი პირდაპირი განკარგვის წესით შპს „კომუნა ჰოლდინგის“ საკუთრებაში გადაცემის მიზნით. ეს იმ პირობით, რომ მისი საპრივატიზებო ღირებულება - 1 326 912 ლარი, ჩაირიცხება ქალაქ ბათუმის ბიუჯეტში 2024 წლის 31 დეკემბრამდე.

ცვლილება შევიდა „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, რურუას ქუჩა №1-ის და №1ა-ს მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებაშიც. კერძოდ, აქ არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის „ბათუმი ავარიული სახლების გარეშე“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემის თაობაზე, შემდგომში მისი პირდაპირი განკარგვის წესით, შპს „ტექტო ფრანკო 1-ის საკუთრებაში გადაცემის მიზნით. მიწის ნაკვეთების საპრივატიზებო ღირებულება, ჯამში 610281,0 ლარი, უნდა ჩაირიცხოს ქალაქ ბათუმის ბიუჯეტში 2024 წლის 31 დეკემბრამდე.

ცვლილება განხორციელდა განაშენიანების რეგულირების გეგმაში - ხუთი მაღალსართულიანი კოშკის ნაცვლად, აშენდება - სამი.

საკრებულომ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ რამდენიმე მიწის ნაკვეთზე განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია და განაშენიანების დეტალური გეგმა დაამტკიცა, ცვლილება შეიტანა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესშიც. საკრებულოს გადაწყვეტილებით, ქალაქ ბათუმში, ნოდარ დუმბაძის ქ. N3-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე საქართველოს დამსახურებული არტისტისა და საზოგადო მოღვაწის ხასან მიქელაძის მემორიალური დაფა განთავსდება.

როგორც აღვნიშნეთ, საკრებულოს სხდომაზე ხმაურიც იყო. ერთმანეთს „ქართული ოცნებისა“ და პარტია „საქართველოსთვის“ წევრები დაუპირისპირდნენ. მხარეებს შორის სიტყვიერთან ერთად, ფიზიკური დაპირისპირების მცდელობაც იყო. სიტუაცია თავად საკრებულოს დეპუტატებმა განმუხტეს. პარტია „საქართველოსთვის“ წევრი აკაკი გვიანიძე მმართველ გუნდს, ერთ-ერთი სამშენებლო კომპანიის მიერ წარდგენილ პროექტთან დაკავშირებით, შეკითხვებით მიმართავდა, რასაც „ქართული ოცნების“ დეპუტატების მხრიდან უკმაყოფილება მოჰყვა. სხდომათა დარბაზში ისმოდა უცენზურო მიმართვები და სიტყვიერი მუქარა.

საკრებულოს თავმჯდომარემ მხარეებს სიმშვიდისკენ მოუწოდა და აღნიშნა, რომ ეს იყო დადგმული პროვოკაცია, რაზეც განმარტება არავის გაუკეთებია.

# ზვიად გამსახურდია – დროის გადასახედიდან

**ლაშა ხომერიკი 593 50 82 69**

*ზვიად გამსახურდია თანამედროვეთათვის საკრალური პიროვნებაა. მას უხვად ამკობდნენ ეპითეტებით: დედამიწაზე მოვლენილი გულივერი, სულმნათი, გრაალის რაინდი... ასეთი შეფასებები საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ თავისი მოღვაწეობითა და ცხოვრებით დაიმსახურა*

მისი როლი საქართველოს ისტორიაში წარუშლელია. „ენციკლოპედიური განათლებისა და დისიდენტური წარსულის მიღმა რკინის ნებისყოფა იმალებოდა, რომელიც მიმართული იყო ეროვნული დამოუკიდებლობისაკენ“, - აღნიშნავდა ცნობილი რუსი დისიდენტი ვალერია ნოვოდვორსკაია.

*31 მარტს ჩვენი ქვეყანა არა მხოლოდ ისტორიული რეფერენდუმის ჩატარების თარიღს აღნიშნავს, არამედ საქართველოს პირველი პრეზიდენტის დაბადების დღეს - მას დღეს 85 წელი შეუსრულდებოდა. რა არის ხალხის უსაზღვრო სიყვარულის წყარო, როგორ მოჩანს ის დროის გადასახედიდან? ბევრი კითხვა დაისმება, პასუხიც, რა თქმა უნდა, არაერთგვაროვანი იქნება. მკითხველისთვის მუდამ საინტერესოა იმ ადამიანების თვალსაზრისი, რომლებიც პრეზიდენტს უშუალოდ იცნობდნენ და ცხოვრებაში მისი იდეების ერთგულნი და გამტარებელნი იყვნენ. სწორედ ამ ნიშნით გამოვარჩიეთ და სასაუბროდ მოვიწვიეთ აჭარის უზენაესი საბჭოს და ქალაქ ბათუმის საკრებულოს (პირველი მოწვევის) წევრი საარჩევნო ბლოკიდან „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო“, - ფილოლოგიის დოქტორი* ***ნუგზარ ჩხაიძე.***



**- ზვიად გამსახურდია - ეს სახელი და გვარი პირველად როდის გაიგონეთ და მასთან პირველი შეხვედრა როგორ გახსენდებათ?**

- რაც თავი მახსოვს, ეს სახელი და გვარი სულ ისმოდა საქართველოში, ოღონდ საბჭოთა პერიოდში - მხოლოდ ნეგატიურ კონტექსტში. განსაკუთრებით გამოვყოფდი გაზეთ „კომუნისტში“ მასზე გამოქვეყნებულ სტატიას სათაურით „წუმპედან - წუმპეში“, რომელშიც „ხალხი“ ითხოვდა, რომ ზვიად გამსახურდია, როგორც კომუნისტურ წყობასთან მკვეთრად დაპირისპირებული პიროვნება, დასჯილიყო და იზოლირებული ყოფილიყო საზოგადოებისგან. რაც შეეხება მასთან პირველ შეხვედრას, ეს მოხდა 1989 წლის 26 მაისს, „ვაკის პარკში“ გამართული დიდი მიტინგის შემდეგ (რა უცნაურიც უნდა იყოს, ეს მიტინგი მიჰყავდათ ზვიადს და ეროვნული მოძრაობის დაუძინებელ მტერ ჯანსუღ ჩარკვიანს). როდესაც ზვიადსა და მერაბ კოსტავას ჩემი თავი გააცნო მათი გარემოცვის უახლოესმა წევრმა, ჩემმა უნივერსიტეტელმა მეგობარმა თემურ ქორიძემ (შემდგომში - უზენაესი საბჭოს მეცნიერებისა და განათლების კომიტეტის თავმჯდომარე). ამ დღეს ერთ-ერთ უბედნიერეს დღედ ვთვლი ჩემს ცხოვრებაში, რადგან გავიცანი ის ადამიანები, რომელთა ცხოვრების მთავარი მიზანი საქართველოს წითელი იმპერიის კლანჭებიდან დახსნა იყო.

**- ეროვნული მოძრაობის გამოკვეთილ ლიდერ მერაბ კოსტავას დაღუპვამ რა გავლენა იქონია იმჟამინდელ პროცესებზე?**

- ვიდრე შეკითხვაზე გიპასუხებდეთ, მინდა გავიხსენო ის ბინძური პროპაგანდა, რომელიც სუკმა და ფსევდოეროვნულმა ძალებმა ააგორეს ზვიადის წინააღმდეგ. მათი თქმით, თითქოს მერაბისა და ზურაბ ჭავჭავაძის დაღუპვაში ზვიადის ხელი ერია. აი, ასეთი უკადრებელი მეთოდებით მიდიოდა ბრძოლა გამსახურდიას წინააღმდეგ. რაც შეეხება მერაბის გარდაცვალებას, ეს იყო ძალიან დიდი დანაკლისი ეროვნული მოძრაობისთვის. მიუხედავად ამისა, ბრძოლა დამოუკიდებლობისთვის ერთი წუთითაც არ შენელებულა, რადგან მას სათავეში ედგა ეროვნული მოძრაობის სულისჩამდგმელი და მთავარი იდეოლოგი ზვიად გამსახურდია, რომელმაც საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების საქმე ბოლომდე მიიყვანა.

**- ეროვნულ მოძრაობაში 80-იანი წლების მიწურულს ორი ფრთა - „მრგვალი მაგიდა“ და „ეროვნული კონგრესი“ აქტიურობდა. მათ უთანხმოებას რა განაპირობებდა?**

- ვერ დაგეთანხმებით ამ საკითხში. ნამდვილ ეროვნულ მოძრაობას წარმოადგენდნენ მხოლოდ ზვიად გამსახურდია და მისი თანამებრძოლები. დანარჩენი პარტიები და პიროვნებები, სინამდვილეში, ეროვნულობის მანტიაში გახვეული შევარდნაძის აგენტები იყვნენ. დრომ ყველას ნიღაბი ჩამოხსნა. ვგულისხმობ იმ ფაქტს, რომ 1991-1992 წლებში, დეკემბერ-იანვრის სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, ისინი კრემლის მიერ საქართველოში მოვლენილი შევარდნაძის ერთგული დამქაშები აღმოჩნდნენ. მათი უთანხმოება ზვიადთან გამომდინარეობდა იქიდან, რომ მან მალე გაშიფრა ისინი, როგორც კრემლის აგენტურა. ამის დასაზუსტებლად ისიც კმარა, რომ შევარდნაძის ხელისუფლებაში უამრავი ისეთი „გულდამწვარი“ პატრიოტი იყო, რომლებიც ვითომ ებრძოდნენ კომუნისტურ რეჟიმს, რეალურად კი მათი მოკავშირეები აღმოჩნდნენ. ერთ-ერთი ასეთი „დიდი პოლიტიკოსი“ გია ჭანტურია - ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე იყო. ვიდრე შევარდნაძე მოსკოვში მოღვაწეობდა, განუწყვეტლივ ამტკიცებდა, რომ ის და ზვიადი ერთმანეთთან ალიანსში იყვნენ, მაგრამ როცა შევარდნაძე სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ გარე ძალებმა ხელისუფლების სათავეში წამოასკუპეს, ჭანტურია უმალ მის გვერდით აღმოჩნდა, მაგრამ შევარდნაძეს ის უკვე აღარაფერში სჭირდებოდა და მისი მმართველობის დროს მოკლეს.

**- 1990 წლის 28 ოქტომბრის ისტორიულ არჩევნებში „მრგვალი მაგიდის“ გამარჯვების ფაქტორები...**

- 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებმა პოლიტიკური და იურიდიული საფუძველი შეუქმნა საქართველოს დამოუკიდებლობას. ეს იყო პირველი მრავალპარტიული თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნები იმჟამინდელი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. ამ არჩევნების ჩატარებას ეწინააღმდეგებოდა როგორც კომუნისტური პარტია, ასევე მისი ფარული სატელიტები - ფსევდოეროვნული ძალები, რომლებიც გაერთიანდნენ ეგრეთ წოდებულ ეროვნულ კონგრესში. მათი ერთ-ერთი მთავარი ლოზუნგი იყო - გამსახურდია მონაწილეობს კომუნისტურ არჩევნებში და ამიტომ ასეთ არჩევნებს ბოიკოტი უნდა გამოვუცხადოთ. ეს სრული აბსურდი იყო. კომუნისტები არჩევნებს, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, არასდროს ატარებდნენ, რადგან თუ არჩევნებია, მინიმუმ, 2 ძალა მაინც უნდა იყოს პოლიტიკურ ველზე (ვიღაცებს შორის ხომ უნდა აირჩიო?). ძალიან მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტი, რომ იმ პერიოდში „სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში“ ჩატარდა მრავალპარტიული არჩევნები, მმართველმა კომუნისტურმა რეჟიმმა ეს არჩევნები ყველგან წააგო და ამ ქვეყნების სათავეში ლეგიტიმურად მოვიდნენ ანტიკომუნისტური ძალები. ზვიადისთვის უმთავრესი საკითხი იყო არჩევნების ლეგიტიმურობა, ამიტომ მისთვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, რა სახელი დაერქმეოდა არჩევნებს (კომუნისტური, დემოკრატიული, ბურჟუაზიული თუ ასე შემდეგ), ანუ არჩევნების ლეგიტიმურობა და მასში გამარჯვება წყვეტდა საქართველოს დამოუკიდებლობის ბედს. აქ გამოჩნდა კომუნისტი ჩინოვნიკების მოღალატური ბუნება, ისინი არანაირად არ თანხმდებოდნენ მრავალპარტიული არჩევნების დანიშვნას (ძალაუფლება ჯერ კიდევ მათ ხელში იყო), ამიტომ ზვიადი წავიდა უკიდურეს ნაბიჯზე - მთავრობაზე ზეწოლის მიზნით მან სამტრედიაში ხალხს, მის ერთგულ მოკავშირეებთან ერთად, გადააკეტინა რკინიგზა. ამ ზეწოლამ გაჭრა - საქართველოს იმდროინდელი კომუნისტური ხელისუფლება იძულებული გახდა, 1990 წლის 28 ოქტომბრისთვის დაენიშნა მრავალპარტიული არჩევნები. დღეს ბევრი ქილიკობს ამ ფაქტის თაობაზე და მას საბჭოთა კავშირის ბლოკადად ნათლავენ. ვერ გაიგეს, რომ ბლოკადა ალყას ნიშნავს და როგორ შეიძლება რკინიგზის ერთ მონაკვეთში გადაკეტვას ისეთი უზარმაზარი ქვეყნის, როგორიც საბჭოთა კავშირი იყო, ბლოკადა მოჰყოლოდა. ამავე დროს, კომუნისტებს კოჭი გაუგორეს ჭანტურიას მომხრეებმა ზვიადის და დამოუკიდებლობის „დასამუხრუჭებლად“, ჩაატარეს ეროვნული კონგრესის „არჩევნები“ სამ ტურად, რომელიც კრახით დამთავრდა, რადგან ძალიან ცოტა ადამიანმა მიიღო ამ არჩევნებში მონაწილეობა. ამასთან, ასეთი სახის არჩევნების ჩატარების უაზრობა მდგომარეობდა იმაში, რომ შედეგების მიუხედავად, ამ არჩევნების ლეგიტიმურობას არავინ ცნობდა, რადგან ის არაოფიციალურ, ფორმალურ ხასიათს ატარებდა. ამ დროს ზვიადის ირგვლივ გაერთიანებულმა ძალებმა შექმნეს საარჩევნო ბლოკი „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო“, რომელმაც მონაწილეობა მიიღო 1990 წლის 28 ოქტომბრის მრავალპარტიულ არჩევნებში და გაიმარჯვა. ამ ფაქტით სათავე დაედო საქართველოს დამოუკიდებლობას, შემდეგ კი, 1991 წლის 31 მარტს, გამსახურდიამ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე (მათ შორის აფხაზეთსა და ეგრეთ წოდებულ სამხრეთ ოსეთში) ჩაატარა რეფერენდუმი, სადაც საქართველოს მოსახლეობის უმეტესობამ (99,08%) ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენას დაუჭირა მხარი. იმავე წლის 9 აპრილს უზენაესი საბჭო სხდომათა დარბაზში, რეფერენდუმის შედეგებზე დაყრდნობით, ზვიად გამსახურდიამ აღასრულა მრავალი თაობის სანუკვარი ოცნება და გამოაცხადა საქართველოს სისხლითა და ოფლით მოპოვებული დამოუკიდებლობა, ამიტომ დღევანდელი საქართველოს დამოუკიდებლობის დღე არა 1918 წლის 26 მაისი, არამედ 1991 წლის 9 აპრილია, რაც დაფიქსირებულია საქართველოს კონსტიტუციაში და მეც მრავალჯერ აღმინიშნავს ეს ფაქტი თქვენი გაზეთის ფურცლებზე, ამიტომ დროა, თავი დავანებოთ ჩვენი ქვეყნის ისტორიის ასეთ მძიმე ფალსიფიკაციას, თორემ ბოლშევიკებს დავემსგავსებით, რომლებიც 1921 წლის 25 თებერვალს არა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის, არამედ გასაბჭოების დღედ ნათლავდნენ.

**- ეროვნულ ხელისუფლებას, გამსახურდიას ხელმძღვანელობით, ურთულეს პერიოდში მოუწია მოღვაწეობა. რა მიგაჩნიათ მის ყველაზე დიდ დამსახურებად და რა შეცდომები დაუშვა მან?**

- ზვიადის ყველაზე დიდი დამსახურება საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენაა. ამ ფონზე ყველა სხვა საკითხი მეორეხარისხოვანი მნიშვნელობის იყო. რაც შეეხება შეცდომებს, ზვიადს არცერთი სტრატეგიული შეცდომა არ დაუშვია.

**- პირველი პრეზიდენტის ოპონენტებიც აღიარებენ, რომ გამსახურდია ქვეყნისთვის თავდადებული იყო, თუმცა მისი „აქილევსის ქუსლი“ საკადრო პოლიტიკა იყო...**

- ხელისუფლების ყოფილი ჩინოვნიკების მხრიდან ღალატის ფაქტები ისტორიაში უამრავია. ეს ყველა სახელმწიფოში იყო წარსულში, არის აწმყოში და იქნება მომავალშიც. ყურადღების გამახვილება იმაზე, თუ რატომ განუდგა ზვიადს ესა თუ ის მინისტრი ან რატომ გაათავისუფლა რომელიმე სახელმწიფო მოხელე - უსაგნოა. საქართველოში იმ დროს, დაძაბული ვითარების გამო, კადრების შერჩევა დაჩქარებულ რეჟიმში ხდებოდა, თანაც უშიშროების სამსახური არ აწვდიდა ზვიადს სრულ ინფორმაციას ამა თუ იმ თანამდებობაზე დასანიშნ პირზე, ან საერთოდ მალავდა მასზე არსებულ კომპრომატულ ინფორმაციას. არაა გასაკვირი, რომ იმ პერიოდში, როცა ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირში ვცხოვრობდით, „კაგებეს“ თავისუფლად შეეძლო ეროვნულ ხელისუფლებაში თავისი აგენტების ჩანერგვა. ისეთ მძლავრ ქვეყნებშიც კი, როგორებიცაა ამერიკა, გერმანია, საფრანგეთი... უამრავი საბჭოთა აგენტი „მოღვაწეობდა“ სხვადასხვა სახელისუფლებო წრეში. რა გასაკვირია, რომ საქართველოშიც ემოქმედათ. ამ საკითხს ასეთი კუთხით უნდა შევხედოთ - თუ ის ჩინოვნიკები, ვინც ზვიადს უღალატა (თ. სიგუა, მ. უგრეხელიძე, დ. ხაბულიანი, ჯ. ხეცურიანი და სხვები), უვარგისები იყვნენ, მაშინ რატომ მიიღო შევარდნაძის რეჟიმმა ისინი თავის სამსახურში? ისე კი, თუ ვინმე მოღალატეა, ეს მის არაკაცობაზე მეტყველებს და არა იმ პიროვნების ცუდ ადამიანობაზე, ვისაც უღალატეს. ამ საკითხთან დაკავშირებით დროა, სახელმწიფო გადატრიალება დაკვალიფიცირდეს სახელმწიფო ღალატად და თავდასხმად ქართულ სახელმწიფოებრიობაზე.

**- რა ფაქტორებმა განაპირობა სახელმწიფო გადატრიალება - ხელისუფლების შეუვალობამ, ოპოზიციის დესტრუქციულობამ თუ რუსეთის ფარულმა ქმედებებმა?**

- დღემდე სახელმწიფო გადატრიალების თემა მხოლოდ დეკლარაციის და შეფასების დონეზეა. ამის მაგალითად საკმარისია მოვიყვანოთ საქართველოს პარლამენტის 2005 წლის 11 მარტის დადგენილება, სადაც ვკითხულობთ - დაიგმოს 1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის ანტიკონსტიტუციური შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალება. სამართლიანობის აღდგენისთვის ასეთი ლოზუნგები და სადღეგრძელოები საკმარისი არ არის, საჭიროა კონკრეტული სამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისროს სახელმწიფო გადატრიალების ორგანიზატორებსა და იდეოლოგებს. საქმე გვაქვს გაუგონარ იურიდიულ კაზუსთან - დამხობილ იქნა კანონიერი ხელისუფლება, რომლის ბრალეულობა არცერთ სასამართლოს არ დაუდასტურებია. ამიტომ მივმართავ მათ, ვისაც ეხება ეს საკითხი - ან გამოიტანეთ ვერდიქტი გამსახურდიას ხელისუფლების დანაშაულობებზე და, აქედან გამომდინარე, მისი დამხობის აუცილებლობის თაობაზე, ან აღადგინეთ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, როგორც კანონიერი, ხალხის მიერ დემოკრატიული გზით არჩეული უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, რომლის წევრების უფლებამოსილება დღემდე არ მოხსნილა. სხვა შემთხვევაში ნებისმიერი ხელისუფლება საქართველოში იქნება არა ლეგიტიმური ხელისუფლების, არამედ ძალადობრივი გზით მოსული „შევარდნაძის ხუნტის“ უზურპატორული რეჟიმის სამართალმემკვიდრე. ეს საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეში დარღვევაა და ამის გამო ნებისმიერი ახალი ხელისუფლების კანონიერება ყოველთვის დადგება ეჭვქვეშ. ყველამ უნდა გავაცნობიეროთ, რომ საქმე გვაქვს კაცობრიობის ისტორიაში გაუგონარ ფაქტთან - კანონიერი ხელისუფლების სახელმწიფო გადატრიალების გზით დამხობა, „დელეგიტიმიზაცია“ „დემოკრატიულმა სამყარომ“ სცნო, ხოლო ახალი ხელისუფლების ლეგიტიმიზაციის პოლიტიკური საფუძველი გახდა გადატრიალების ორგანიზატორის, კერძო პირის, არავის მიერ არჩეული, „უზურპატორ შევარდნაძის“ პერსონა. რაც შეეხება სახელმწიფო გადატრიალებას, ის, ჩემი აზრით, მაინც მოხდებოდა, რადგან ეს იყო საერთაშორისო გლობალური შეთქმულება საქართველოს დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოს წინააღმდეგ. ამ შეთქმულებას მწვანე შუქი 1991 წლის აგვისტოში აუნთო ამერიკის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა (უფროსმა), რომელმაც კიევში ყოფნისას განაცხადა, რომ ზვიად გამსახურდია დინების საწინააღმდეგოდ მიცურავს. ევრო-ამერიკულმა და რუსულმა იმპერიალიზმმა, ქართველ მოღალატეებთან უნისონში, ერთიანი ფრონტით იმოქმედეს ჩვენი ქვეყნის



იხ. მე-9 გვ.

# „ხალხის ძალა“ ძალას იკრებს

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

*ზაზა დავითაძე ადამიანთა ჯანმრთელობის სადარაჯოზე ყოფნას წარმატებით უთავსებს პოლიტიკურ საქმიანობას. ამ ეტაპზე „ხალხის ძალის“ რიგებშია. იგი მონაწილეობდა ამ საზოგადოებრივი მოძრაობის პარტიად გარდაქმნის პროცესებში და პირველი ყრილობის მუშაობაში*

**- ბატონო ზაზა, ყოველი ფორუმი, რომელიც ქვეყნის დედაქალაქში იმართება, სასიკეთო კვალს ტოვებს პერიფერიაში მოღვაწე პოლიტიკოსზე. რა შთაბეჭდილებებით დაბრუნდით ამ ფორუმიდან?**

- მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ ჩამოყალიბებისა და განვითარების აქტიური მონაწილე ვიყავი. პირადი სურვილით და „ხალხის ძალის“ პოლიტიკური პლატფორმის ინტერესების გათვალისწინებით ჯერ გავწევრიანდი, ახლა კი პარტიის ინტერესების გამტარებელთა რიგებში ვარ. რაც შეეხება ყრილობასა და მის მუშაობას, მართლაც, ბევრად უფრო ინფორმირებული დავბრუნდი იქიდან. მისასალმებელია, რომ პარტიის ლიდერობა სოზარ სუბარმა ითავა. პოლიტსაბჭოში ავირჩიეთ ჩემი პროფესიის პოლიტიკოსი დიმიტრი ხუნდაძე. ნათელია, რომ დიდი და საპასუხისმგებლო დრო გვიდგას.

**- მაინც, მთავარი რა ითქვა 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნების შესახებ?**

- როგორც ყველა პარტია და მოძრაობა, ვიწყებთ სამზადისს არჩევნებში მონაწილეობისა და მომავალ პარლამენტში მოხვედრისთვის

**- პროპორციულ სიაზე არაფერი თქმულა?**

- ჯერჯერობით კულუარებშიც კი არ ყოფილა ამის შესახებ ინფორმაცია.

**- დიმიტრი ხუნდაძის გარდა, კიდევ ერთი ექიმია, თანაც მაჟორიტარი, ჩართული „ხალხის ძალის“ საქმიანობაში.**

- ალბათ, ბატონი ზაალ მიქელაძე გყავთ მხედველობაში. წლებია, ბატონ ანზორ ბოლქვაძისა და ჩემი პოლიტიკური გზები თანხვედრაშია. არანაკლებ საინტერესო და კოლეგიალურია ბატონ ზაალთან, ამ ჰუმანისტ პიროვნებასთან ურთიერთობა. ყრილობის მუშაობის დღესაც კი დრო გამონახა და დედაქალაქში ჩამოსულ ამომრჩეველს საავადმყოფოში მიაკითხა.



**- აჭარა და აქაური დელეგატები განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ ჰყავდით სოზარ სუბარს...**

- თვითონაც მთების (სვანეთის) შვილია, კარგად იცის მთიელი კაცის ფასი. მინისტრად მუშაობის წლებში აჭარის მთიანეთს სტუმრობდა, აქტიურად მონაწილეობდა სტიქიისგან დაზარალებული ოჯახების ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში დამკვიდრების პროცესში. მოქმედ პარლამენტში ორჯერ ჰქონდა გამსვლელი სხდომა ქედაში. ახლაც ჩართულია ჩვენთან მიმდინარე პროცესებში. აჭარაში მრავალი მეგობარი ჰყავს.

**- შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მაჟორიტარი დეპუტატი ხართ. ამ მოწვევის უფლებამოსილების ნახევარზე მეტი დრო გავიდა. თვითმმართველობის მომავალ არჩევნებზე რა სტატუსით იყრით კენჭს?**

- წინა ორ არჩევნებზე პროპორციული სიით ვიყავი არჩეული. ჩემი დამსახურება იყო, რომ სიით წარდგენილი 10 კანდიდატი პარლამენტში მოვხვდით. იმის თქმა მსურს, რომ ამომრჩეველი მენდობა. ეს ნდობა მომავალ არჩევნებზეც გამყვება. ჩემთვის მიღების საათები არ არსებობს. არაერთ შემთხვევას გავიხსენებ, როცა შეუძლოდ მყოფი ამომრჩეველი ბათუმამდე საკუთარი ტრანსპორტით გადამიყვანია, გამოკეთებამდე, ახლობლებთან ერთად, თავზე ვედექი.

**- ნდობის პასუხად რას აკეთებთ?**

- იშვიათია მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესი, რომელშიც ჩართული არ ვარ. ბიუჯეტი მტკიცდება და ამომრჩეველთა ინტერესებს ვიცავ, სამინისტროები პროგრამებს წარმოადგენენ და ჩართული ვარ, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამების“ პრიორიტეტების შერჩევის კამპანია მიმდინარეობდა და მოსახლეობასთან შეხვედრებს დავესწარი. ხშირად მივდივარ შორეულ სოფლებსა და დასახლებულ უბნებში, ვხვდები ამომრჩევლებს, ბევრსაც ადგილზე ვიღებ.

**- როგორც ექიმიც, თავისთავად, ეხმარებით ალბათ მოქალაქეებს?**

- ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არ გამიჭირდება. მრავალთაგან ერთ შემთხვევას გავიხსენებ: შუბნის საჯარო სკოლაში მივდიოდით. პედაგოგიური კოლექტივის თანხმობა იყო საჭირო, რათა სკოლას ცნობილი მეცნიერის, ქართველოლოგისა და დამოუკიდებლობის აქტზე ხელის მომწერ ტარიელ ფუტკარაძის სახელი მინიჭებოდა. პაპოშვილებს გავცდით თუ არა, საბურავი გასკდა და გამოსაცვლელად მანქანიდან გადმოვედით. წუთიც არ იყო გასული, მამაკაცი თავზე დაგვადგა. ოჯახში მიგვიპატიჟა, თვითონ მძღოლს დაეხმარა. უმალვე სუფრა გაშალეს. შემდეგ გაირკვა, რომ იმ ოჯახის წევრს დავხმარებივარ. მე აღარც მახსოვდა. როგორც მაჟორიტარი, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ პრიორიტეტების გასაცნობად სოფელ თერნალში მუნიციპალიტეტის სხვა ხელმძღვანელებთან ერთად მივედი. დამთავრდა შეხვედრა. ადგილობრივებს ერთი გამოეყო და საკუთარი სახლის ეზოში შეგვიძღვა. მან საჯაროდ მადლობა გადამიხადა, რადგან საცხოვრებელი სახლის პროგრამით შეძენაში დახმარება მქონდა გაწეული. ასეთი მაგალითების მოყვანა მრავლად შემიძლია.

**- მომავალში თქვენს ადგილს სად ხედავთ?**

- ჩემთვის კარიერა არაა მთავარი. მოწოდებული ვარ, ვიყო ქვეყნის სამსახურში. ექიმის პროფესია მეტს მავალდებულებს. ჯერ ცხოვრების კალენდარზე შუადღეც არ დამდგომია. ამ ასაკში ბევრს მოვესწარი, მოლოდინიც ბევრის მაქვს. იქნება პოლიტიკაში შემოთავაზება და იქ დავდგები, სადაც ყოფნას ქვეყნის ინტერესები მიკარნახებს. მშობლიური შუახევისთვის რაც გავაკეთე, დასაწყისად მიმაჩნია. კაცი თუ ხარ და გული კაცურად გიძგერს, საქმეც კაცურად უნდა აკეთო.

**- პოლიტიკა, პროფესიული საქმიანობა ერთია, ოჯახი და მისი წინამძღოლობა - უმთავრესი...**

- თქვენი გაზეთის აქტიური რესპონდენტი და მკითხველი ვარ. სხვათა შორის, ჩემ ოჯახზე სიტყვას პირველად ვამბობ. ოჯახი ყველა ეპოქაში საზოგადოების საფუძველია. მეამაყება, რომ ღირსეული წინაპრების მსგავსად, სიყვარულსა და ბედნიერებაზე დაფუძნებულ ოჯახს ვუძღვები. მე და ნანა ქალ-ვაჟს ვზრდით. ყველაფერს ვაკეთებთ, რათა შვილებს წარმატებული მომავალი ჰქონდეთ. ისინიც გვიფასებენ და მოგვყვებიან. შვილების გაზრდა-დაკვალიანებაში ნანასა და ჩემს მშობლებსაც შეაქვთ წვლილი. მათი თანადგომა რომ არა, ერთ ჩვენგანს სამსახურის მიტოვება მოუწევდა. ვიცი მათი თანადგომის ფასი. სტუდენტობა ქვეყნისთვის ძნელბედობის წლებში მქონდა. ხშირად ვამბობ, უნივერსიტეტი დედ-მამასთან ერთად დავამთავრე. ნაქირავებ ბინაში ვცხოვრობდი, თვითონ იკლებდნენ და მე ხელს მიწყობდნენ. ამაზე მეტს რას მოვითხოვდი. ასეთივე დამოკიდებულება ჰქონდათ ჩემს ძმა პაატასთან.

### თაობა

# ბათუმელი ახალგაზრდები – ევროსტრუქტურებში

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

*აჭარის რეგიონში მცხოვრები 15-დან 25 წლამდე ახალგაზრდებისთვის, ევროპული პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბებისა და ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებული საკითხების თეორიული ცოდნის პრაქტიკაში რეალიზებისთვის, 23 აპრილიდან ბელგიელ პარტნიორებთან ერთად იწყება მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელება. მისი სახელწოდებაა: „ქართველი ახალგაზრდები ევროსტრუქტურებში“. რა არის ამ პროექტის მიზანი და არსი, როგორ წარიმართება და რეალიზდება პრაქტიკაში დასახული ამოცანები, პოლიტიკური კულტურის ამაღლებისთვის რამდენად მნიშვნელოვანია ამ პროექტის განხორციელება? ამ საკითხებზე ვესაუბრეთ საჯარო მმართველობის დოქტორს, ბსუ-ის ლექტორ* **გიგა ფარტენაძეს**

**- თქვენ და თქვენი ბელგიელი პარტნიორები მნიშვნელოვანი პროექტის - „ქართველი ახალგაზრდები ევროსტრუქტურებში“ განხორციელებას იწყებთ. დეტალურად მოგვითხრეთ ამის შესახებ...**

- პროექტი ხორციელდება განათლების ასისტენტ პროფესორის, მენტორ მასწავლებელ ათინა თოიძესთან პარტნიორობით, რომელსაც ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში ვიზიტების მრავალწლიანი გამოცდილება აქვს ახალგაზრდებში არაფორმალური განათლების ხელშეწყობასთან დაკავშირებით. ასევე, მინდა აღვნიშნო, რომ ევროპარლამენტში ჩემი მუშაობის დროს მიღებულმა გამოცდილებამ და კონტაქტებმა კიდევ უფრო დიდი მოტივაცია და ბიძგი მოგვცა იმისთვის, რომ ჩვენი კუთხის ახალგაზრდებს მივცეთ შესაძლებლობა, თავად გახდნენ უშუალოდ იმ პროცესის მონაწილეები, რასაც ევროპული პოლიტიკის კეთების სახელით იცნობს საზოგადოება. სწორედ ამ მიზნით, ჩვენ ბელგიელ პარტნიორებთან ერთად შევიმუშავეთ პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს აჭარის რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდების აკადემიურ და შემეცნებით ვიზიტებს ბელგიასა და ნიდერლანდებში, ისეთ ევროსტრუქტურებში, როგორებიცაა ევროპარლამენტი, ევროკომისია, ნატოს შტაბბინა და ა. შ. ვიზიტი განხორციელდება მიმდინარე წლის 23 აპრილიდან 27 აპრილამდე.

**- პროექტის მიზანი და არსი?**

- პროექტის მიზანია აჭარის რეგიონში მცხოვრებ ახალგაზრდებში ევროპული პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბება, ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებულ საკითხებზე თეორიული ცოდნის პრაქტიკაში რეალიზება, ევროპული ინსტიტუტების გადაწყვეტილების მიღების პროცესის ადგილზე ჩვენება, ჩვენი კუთხის ახალგაზრდებისთვის შესაძლებლობების გაჩენა, რომ ევროპარლამენტის ტრიბუნიდან გააკეთონ მოხსენებები საქართველოს ევროინტეგრაციასთან დაკავშირებით, საქართველოში დაბრუნების შემდეგ, გამოცდილებას, რომელსაც ახალგაზრდები ევროსტრუქტურებში ვიზიტისას მიიღებენ, სხვებს გაუზიარონ.

**- მოგვიყევით, პროექტის შექმნის პროცესში რა გამოწვევის წინაშე დადექით?**

- როგორც ზემოთ აღვნიშნე, პროექტის პარტნიორებს ინდივიდუალურად გვქონდა ევროსტრუქტურებში და ახალგაზრდებთან მუშაობის მრავალწლიანი, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული გამოცდილება. ამას დაემატა ისიც, რომ საქართველომ მიიღო ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი, რამაც ჩვენი ქვეყანა ევროპასთან ურთიერთობის ახალ პოლიტიკურ საფეხურზე გადაიყვანა და კიდევ უფრო დააახლოვა მას. სწორედ ამ ყველაფრის გათვალისწინებით გაჩნდა იდეა, რომ ახალგაზრდების როლი საქართველოს ევროინტეგრაციის გზაზე უმნიშვნელოვანესია. გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებების პროცესის დაწყებისთვის ჩვენ უნდა შევძლოთ ახალგაზრდებისთვის ევროსტრუქტურების მუშაობის თეორიული ინფორმაციის მიწოდებასთან ერთად, ამ პროცესის პრაქტიკაში მოქმედების ჩვენებაც.

**- კონკრეტულად, რა მაგალითებია?**

- რა როლი და ფუნქცია აქვს ევროპარლამენტს გაფართოების საკითხებთან დაკავშირებით, რას უნდა ველოდოთ ევროკომისიისგან ჩვენი ქვეყნის ევროინტეგრაციასთან დაკავშირებით და ა. შ. ძირითადი გამოწვევები კი, რა თქმა უნდა, ეს არის ის დეზინფორმაციული, ანტიდასავლური რიტორიკა, რაც ჩვენდა სამწუხაროდ, ქართულ საზოგადოებაში ზრდის ევროსკეპტიციზმს. სამიზნე ჯგუფი ახალგაზრდა თაობაა, რომელზეც ზემოქმედება ადვილია სწორედ მათი გამოუცდელობის გამო, ეს პროცესები კი იმართება ჩრდილოელი მეზობლის მიერ, რაც ჰიბრიდული ომის შემადგენელი ნაწილია. მიგვაჩნია, რომ სწორედ ამ გამოწვევების ეფექტურად გადასალახად, აღნიშნული პროექტით ახალგაზრდებს მივცემთ შესაბამის უნარ-ჩვევებს და კომპეტენციებს, რომ არგუმენტირებულად წინ აღუდგნენ აგრესიულ ანტიდასავლურ პროპაგანდას, არ დარჩნენ ორაზროვნების და სპეკულაციების სივრცეებში ევროპულ ოჯახში ინტეგრაციასთან დაკავშირებით.

**- რა ასაკის ახალგაზრდებისთვისაა განკუთვნილი ზემოაღნიშნული პროექტი?**

- ბრიუსელში, ბრიუგეში, გენტსა და ამსტერდამში ჩვენი აკადემიური ვიზიტებით შეუძლიათ ისარგებლონ აჭარის რეგიონში მცხოვრებმა 15 - დან 25 წლამდე ახალგაზრდებმა, მათი გამოცდილების მიუხედავად. ჩვენ არ ვაწესებთ კონკრეტულ მოთხოვნებს ახალგაზრდებისთვის, რადგან ეს პროექტი უნდა იყოს ხიდი ქართველ ახალგაზრდებსა და ევროპულ ინსტიტუტებს შორის. ჩვენი მიზანია, რომ პროექტში ჩართული ახალგაზრდები წარმოდგენილი იყვნენ თავიანთი აქტივობების მიუხედავად (ვიღაცას შეიძლება უფრო მეტი ჰქონდეს, ვიღაცას ნაკლები ზოგს კი საერთოდ არ ჰქონდეს), რადგან ამ პროექტით ისინი მიიღებენ ახალ და უნიკალურ გამოცდილებას, რომელიც ყველა ახალგაზრდის ცხოვრებას გახდის უფრო აქტიურს, ვიდრე ეს პროექტში ჩართვამდე იყო.

**- რამდენად მნიშვნელოვანია ეს პროექტი ახალგაზრდობისთვის და რას მისცემს ჩვენს ქვეყანას სახელმწიფოებრიობის განვითარების თვალსაზრისით?**

- ჩვენი ქვეყნის ევროინტეგრაციის გზაზე ახალგაზრდების როლი კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რაც ბოლო წლებში განსაკუთრებით გამოჩნდა, პროექტი იძლევა შესაძლებლობას, ახალგაზრდები, სწორი და უტყუარი ინფორმაციის გაცნობიერებით, წინ აღუდგნენ ანტიდასავლურ რიტორიკას, დეზინფორმაციას ევროპულ ოჯახში ინტეგრაციასთან დაკავშირებით. ასევე, პროექტი მიზნად ისახავს, თეორიულ ცოდნასთან ერთად, პრაქტიკული გამოცდილების, ლიდერული უნარ-ჩვევების შეძენას, კრიტიკულ და ფორმალურ სიტუაციაში რეაგირების უნარის, დამოუკიდებლად ცხოვრების და გუნდური მუშაობის განვითარების ხელშეწყობას. ეს ყველაფერი კი ქვეყნის სახელმწიფოებრიობის განვითარების პირდაპირპროპორციულია. ინფორმირებული, განათლებული, მოქალაქეობრივად ჩართული და აქტიური ახალგაზრდა ნიშნავს უფრო ძლიერ სახელმწიფოს.

**- რომელ ევროსტრუქტურებში მიიღებენ ახალგაზრდები მონაწილეობას?**

- ვიზიტები გვაქვს დაგეგმილი შემდეგ ევროსტრუქტურებში: ევროპის პარლამენტში, ასევე ევროკომისიის წარმომადგენლობაში, შეხვედრები ოფიციალურ პირებთან, ლექცია და დისკუსია საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ, ასევე, ვიზიტი ნატოს შტაბბინაში, შეხვედრები ნატოს ოფიციალურ პირებთან, ლექცია და დისკუსია საქართველოს და რეგიონის საფრთხეების ირგვლივ და იმავე დღეს კულტურულ-შემეცნებითი პროგრამა: ვიზიტი პარლამენტარიუმში, ასევე, ვიზიტი ევროკავშირის საგარეო ქმედებათა სამინისტროში, შეხვედრა ევროკავშირის წამყვან კვლევით ანალიტიკურ ინსტიტუციაში - ევროპის პოლიტიკურ ცენტრში,



იხ. მე-9 გვ.

# ღვედი – სიცოცხლის დაცვის თუ ჯარიმისთვის თავის არიდების საშუალება?

თამარ ლამპარაძე 595 85 80 06

*ჩვენი სიცოცხლე ჩვენს პასუხისმგებლობაზეა დამოკიდებული. საკუთარი თავისადმი უდიერი მოპყრობა ხშირად არასახარბიელო შედეგით მთავრდება. მოგვწონს კანონები, რომლებსაც ჩვენი სიცოცხლის დასაცავად იღებს მთავრობა, მაგრამ რეალურ ცხოვრებაში ნაკლებად ვითვალისწინებთ. ამის მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ავტომობილებში უსაფრთხოების ღვედის გაკეთების საკითხი*

ჩვენს ქვეყანაში ავტოავარიებს ყოველწლიურად რამდენიმე ასეული ადამიანის სიცოცხლე ეწირება, ათასობით კი სხეულის სხვადასხვა დაზიანებას იღებს. 2010 წლის 1 დეკემბრიდან უსაფრთხოების ღვედის გამოყენება, რომელსაც არაერთი სიცოცხლის გადარჩენა შეუძლია, მძღოლებისთვის სავალდებულო გახდა. ქართველმა კანონმდებლებმა ღვედის გამოყენების კონტროლის გამკაცრება ავტოავარიებისას სიკვდილიანობისა და მძიმე დაზიანებების შემცირების მიზნით გადაწყვიტეს.



რატომ უნდა შევიკრათ უსაფრთხოების ღვედი? მსოფლიო მასშტაბით სურათი ასე გამოიყურება: 80 კმ/სთ სიჩქარით ავარიისას მგზავრის წონა იზრდება 80-ჯერ, შესაბამისად, იზრდება ტრავმების მიღების რისკი, უსაფრთხოების ღვედი კი ამცირებს ავარიის შედეგებს. ასევე, წინა სავარძელზე უსაფრთხოების ღვედი ავარიების 50%-ში გადაარჩენს მგზავრის სიცოცხლეს. მეცნიერები ამბობენ, რომ გვერდული შეჯახებისას შეკრული ღვედები საშუალებას იძლევა, 1,8-ჯერ შემცირდეს დაღუპვის და მძიმე ტრავმების რისკი, პირისპირ შეჯახებისას - 2-ჯერ. ეს ჩამონათვალი არცთუ ისე ცოტაა იმის დასაჯერებლად, რომ ღვედის გამოყენება აუცილებელია.

დავინტერესდი აჭარაში მცხოვრები მძღოლების მოსაზრებებით: რატომ იკეთებენ ღვედს - ჯარიმის თავიდან ასაცილებლად თუ საკუთარი სიცოცხლის დასაცავად? გამოვკითხე 20 მძღოლი. მათი აზრი მკვეთრად გაიყო. გამოკითხულთა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ ღვედს მხოლოდ ჯარიმის თავიდან ასაცილებლად იკეთებს. ვფიქრობ, ისინი ძალიან გულწრფელები იყვნენ. ორმა მძღოლმა ღვედის გაკეთება ნაკლებად გაბედული, მშიშარა ადამიანის ქცევად მიიჩნია, რომელიც საკუთარ თავს ვერ ენდობა და ერთგვარ დაცვას - უსაფრთხოების ღვედს საჭიროებს. მათი თქმით, ღვედის გაკეთება არაჰიგიენურია, ამასთან დისკომფორტსაც ქმნის. ერთ-ერთმა აღნიშნა, რომ ღვედის გამოყენება, განსაკუთრებით ზაფხულში, შემაწუხებელია, როცა რუჯის მიღების შემდეგ ზღვიდან სახლში ბრუნდები.

> ,, *სამწუხაროდ, 20-დან მხოლოდ 5-მა მძღოლმა აღნიშნა, რომ ღვედს მხოლოდ უსაფრთხოების მიზნით იკეთებს. ისიც ითქვა, რომ უსაფრთხოების ღვედის მოხმარება კომფორტულია, რადგან ამ დროს მგზავრს არ სჭირდება თავის შესამაგრებლად ზედმეტი ძალისხმევა დამუხრუჭების, მოხვევის ან სხვა დროს*

სამწუხაროდ, 20-დან მხოლოდ 5-მა მძღოლმა აღნიშნა, რომ ღვედს მხოლოდ უსაფრთხოების მიზნით იკეთებს. ისიც ითქვა, რომ უსაფრთხოების ღვედის მოხმარება კომფორტულია, რადგან ამ დროს მგზავრს არ სჭირდება თავის შესამაგრებლად ზედმეტი ძალისხმევა დამუხრუჭების, მოხვევის ან სხვა დროს.

აღმოჩნდა, რომ 20-დან ერთი მძღოლი ღვედს საერთოდ არ იკეთებს... „ფეისბუქის" მეშვეობით ავტომოყვარულების ჯგუფში, სადაც 200 000-მდე მძღოლია გაერთიანებული, გამოკითხვა ჩავატარე. საქართველოს მასშტაბით გამოვკითხე 50 ადამიანი, ხმების პროცენტულობა ასე გადანაწილდა: თავის დასაცავად - 59%, ჯარიმის გამო - 16%, არ ვიკეთებ საერთოდ - 9%, შეჩვეული ვარ - 16%. სასიხარულოა, რომ მძღოლების უმრავლესობა თავის დაცვის მიზნით იკეთებს ღვედს. უსაფრთხოების ღვედის მოხმარების ძირითადი მიზანიც ხომ ისაა, საგზაო ინციდენტის დროს დაიცვას მძღოლი თუ მგზავრი დაზიანებებისგან. მიუხედავად იმისა, რომ ღვედი, უპირველესად, სიცოცხლის დაცვის საშუალებას წარმოადგენს, ისიც კარგია, რომ ჯარიმისგან თავის არიდების გამო იკეთებენ ან თუნდაც იმიტომ, რომ უკვე შეეჩვივნენ. ნებისმიერ შემთხვევაში, ღვედის გამოყენება მათი სიცოცხლის დაცვის გარანტია.

# „ნაცარქექია" – განსხვავებული ინტერპრეტაციით

ნანა აბულაძე 577 20 35 90

*ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიულ სახელმწიფო თეატრში სპექტაკლ „ნაცარქექიას" პრემიერა გაიმართა*

რეჟისორმა ირაკლი იორამაშვილმა ყველასათვის საყვარელი ქართული ხალხური ზღაპარი საკუთარი ინტერპრეტაციით წარუდგინა მაყურებელს და, როგორც გვითხრა, შეეცადა, პატარებისთვის „ნაცრის მქექავი" პერსონაჟი სულ სხვა თვალით დაენახებინა.



- პირველ რიგში, დავიწყებ იმით, რომ სპექტაკლმა ჩემი მოლოდინი გაამართლა, რის თქმის საშუალებას ანშლაგით ჩავლილი ჩვენებები და ის ემოციები მაძლევს, რაც პატარებისგან მივიღე. სპექტაკლში ნაცარქექია არის მეზღაპრე, მწერალი, შეიძლება ითქვას, დრამატურგი, რომელიც თავის სამყაროში ცხოვრობს... შემოქმედი ადამიანი არასდროსაა ზარმაცი. შესაბამისად, ვფიქრობ, ამ სპექტაკლით პატარებმა კარგ ადამიანად დაინახეს ნაცარქექია. ანალოგიური შთაბეჭდილება დარჩათ მდედრობითი სქესის დევზეც, რომელიც, როგორც აღმოჩნდა, სულაც არ არის ბოროტი, პირიქით, ძალიან კეთილი და საყვარელია. ბავშვებს ვეუბნებით, რომ არ შეიძლება, სწორხაზოვნად უყურო ამბავს ან სხვისი ნათქვამით გამოიტანო დასკვნა. მიმაჩნია, რომ ბავშვებს პატარაობიდანვე სწორად და გააზრებულად უნდა მივაწოდოთ ინფორმაცია, რათა მათ შეძლონ კარგის და ცუდის გარჩევა. მინდა, კიდევ ერთხელ მადლობა გადავუხადო თეატრის მსახიობებს. მათთან მუშაობა ჩემთვის ძალიან საინტერესო და სასიამოვნო იყო. სამომავლოდ მაქვს არაერთი გეგმა. ისევ ბავშვებისთვის დავდგამ სპექტაკლს, რადგან ეს არის ჩემი სამყარო, რომელიც, ვფიქრობ, ამოუწურავია, - აღნიშნა ირაკლი იორამაშვილმა.



სპექტაკლი, ასევე, შეაფასა და თეატრის უახლოეს გეგმებზე ისაუბრა ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ირაკლი კიკვაძემ. როგორც გვითხრა, სურდათ, თეატრის რეპერტუარში ყოფილიყო ქართული ზღაპარი და ძალიან კარგია, რომ არჩევანი ყველასთვის ცნობილ „ნაცარქექიაზე" შეჩერდა.

- სპექტაკლი ძალიან წარმატებული აღმოჩნდა, ყველა ჩვენება ანშლაგით მიმდინარეობს, რისთვისაც მადლობა მინდა ვუთხრა მასზე მომუშავე თითოეულ ადამიანს. თავიდანვე იყო ჩანაფიქრი, რომ „ნაცარქექია" მოგზაური სპექტაკლი ყოფილიყო. ვგეგმავთ, რომ მაღალმთიან აჭარაში, სადაც შევძლებთ, ყველგან მივიდეთ. სპექტაკლი საკმაოდ მობილური, კომპაქტურია, შესაბამისად, ვფიქრობ, ადვილად მოვახერხებთ ჩანაფიქრის განხორციელებას. რაც შეეხება უახლოეს გეგმებს, თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი დიმიტრი ღვთისიაშვილი აპირებს ჩვენთან სპექტაკლის დადგმას. ჯერჯერობით ვერ ვიტყვი, რა სპექტაკლზე იმუშავებს, თუმცა შემიძლია გითხრათ, რომ ნოდარ დუმბაძის შემოქმედებიდან იქნება. აქვე ექსკლუზიურად გაგიმხელთ იმასაც, რომ ვაპირებ სპექტაკლის „ელისი საოცრებათა ქვეყანაში" დადგმას, რომელზე მუშაობასაც ძალიან მალე შევუდგები. თეატრის გუნდი ყოველთვის ცდილობს, მრავალფეროვანი და საინტერესო სიახლეები შესთავაზოს ჩვენს საყვარელ და ერთგულ მაყურებელს, - გვითხრა ირაკლი კიკვაძემ.

# წლის პირველი გამოფენა – სამხატვრო სკოლაში

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

ბათუმის სამხატვრო სკოლის საგამოფენო დარბაზში წლის პირველი გამოფენა გაიხსნა, რომელზეც აჭარის მხატვრების ახალი და ერთი ბათუმში საცხოვრებლად გადმოსული მოლდოველი ხელოვანის ნამუშევრებია წარმოდგენილი.

ადგილობრივ მხატვრებს შორის არიან თამაზ ზარქუა, გიორგი მექვაბიშვილი, ქეთევან ბარამიძე, მაია გერსამია, ირინა ტო-



რონჯაძე, შალვა ბაკურაძე, თამთა დარჩია, ფრიდონ იჯარეთელი, ბადრი ართმელაძე, მაია ჭყონია, ქეთევან ფილიპოვა, ზურა კოჩალიძე, თეიმურაზ მახარაძე, ლადო შარაშიძე, ლერი გოგიჩაიშვილი, ანა ნიკოლაიშვილი, გურამ გუჯაბიძე, კაკო ძნელაძე, გინგა ოლესიანი, ჯიმსონ გურგენიძე, მამა შიო პაიჭაძე, გურამ ფუტკარაძე.....

- გამოფენაზე წარმოდგენილი სამოცივე ნამუშევარი ახალია, ამიტომაცაა ის საინტერესო დამთვალიერებლებისთვის. წელს სხვა გამოფენებიც გაიმართება, მათ შორის, სხვადასხვა მხატვრის პერსონალური გამოფენა, - გვითხრა აჭარის მხატვართა კავშირის თავმჯდომარე გურამ ფუტკარაძემ.

- ძალიან მომეწონა გამოფენა. როგორც კი ფეხი შემოვდგი, სასიამოვნო განწყობაზე დავდექი, გაზაფხულის ფერები შემომეგება. არაერთი საინტერესო ნამუშევარია წარმოდგენილი, - გვითხრა პოეტმა ბელა ქებურიამ.

როგორც მამა შიო პაიჭაძემ აღნიშნა, გურამ ფუტკარაძე ყოველი გამოფენის წინ უკავშირდება და ნამუშევრების მიტანას სთავაზობს.

- პანდემიის დროს, ფოთშიც, იქაურ მხატვრებთან ერთად მოეწყო საინტერესო გამოფენა, სადაც ხეზე კვეთის ნიმუშებით წარვსდექი, ისევე, როგორც აქ. ამჯერად, იოანე ნათლისმცემლისა და ანთიმოზ ივერიელის ხეზე ამოკვეთილი პორტრეტები წარმოვადგინე, - გვითხრა მამა შიომ.

გამოფენა 18 აპრილამდე გასტანს.

# „თუ მარეგულირებელი კანონი არ გვექნება, ასეთ დღეში დიდხანს ვიქნებით“

*შუახევის რაიონის სოფელ ნენიის მკვიდრი ოთარ ქამადაძე, პროფესიით პედაგოგი, 20 წელი ჟურნალისტიკას ემსახურა. ისე გაიტაცა ამ საქმიანობამ, შუახევში ადგილობრივი გაზეთის გაუქმება რომ არა, ახლაც ამ პოზიციაზე იქნებოდა. რამდენიმე თვე აჭარის ტელევიზიაში ოპერატორადაც იმუშავა... ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტმა მწერლობაშიც სცადა ბედი. მისი ავტორობით გამოცემული წიგნი „ნენია“ ერთი ისტორიული სოფლის წარსულსა და დღევანდელობას ეძღვნება*



- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი ვიყავი, გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ აქტიური მკითხველი და შტატგარეშე მუშაკი რომ გავხდი. იმ წლებში ჩამომიყალიბდა მეგობრული ურთიერთობები აქ მომუშავე ცნობილ ჟურნალისტებთან. მათ შორის იყო ჩემი თანაკურსელის მამა, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანი, ფოტოკორესპონდენტი ვალერი (საშა) მითაიშვილი. სტუდენტმა რეგიონის ფლაგმან გაზეთში პირველი სტატია რომ დავბეჭდე, უბედნიერესი ვიყავი.

**- რა ჟანრი გიტაცებდათ?**

- მეტწილად, ჩვენი კუთხის ისტორიით, მისი წარსულითა და დღევანდელობით ვიყავი დაინტერესებული. ამ პერიოდულ გამოცემასთან ისიც მაახლოებდა, რომ ჩემი სიმამრი ნოდარ ქამადაძე იქ საქმიანობდა - „სოვეტსკაია ადჟარიას“ საკუთარი კორესპონდენტი იყო ქედის, შუახევისა და ხულოს რაიონებში. მსურდა, უმაღლესი განათლების მიღებისთანავე ჟურნალისტიკაში შემედგა ფეხი, მაგრამ მაშინ რამდენიმე წელი სპეციალობის მიხედვით, განაწილების ადგილზე უნდა მემუშავა. ასე აღმოვჩნდი ნიგაზეულის საშუალო სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. ამაგსა და თანადგომას ვერ დავუკარგავ შუახევის რაიონის მაშინდელ ხელმძღვანელებს იოსებ ხიმშიაშვილს, ვლადიმერ მამულაძეს, ალექსანდრე ჯიბლაძეს. როგორც კი ადგილობრივ გაზეთ „დროშაში“ ვაკანსია გაჩნდა, სამუშაოზე ამიყვანეს. ოთარ ცინარიძის, ნოდარ შარაშიძის, ნიაზ ზოსიძის სახით, ღირსეული დამრიგებლები, კარგი კოლეგები მყავდა. ამ გაზეთის არსებობის ისტორიაში პირველი შემთხვევა იყო, როცა ძმები - მე და ლევანი, ერთად ვმუშაობდით.

**- ჟურნალისტიკას რატომ აღარ გაჰყევით?**

- მრავალგზის მითქვამს და ახლაც გავიმეორებ - რომ არა მაშინ მიმდინარე პოლიტიკური პროცესები, ისევ იმ პოზიციაზე ვიქნებოდი. დღემდე ვერ ვხვდები, რა საჭირო იყო ადგილობრივი გაზეთების ხელაღებით გაუქმება? თითქოს ის მოკრძალებული თანხა ბიუჯეტს „ხრავდა“. არადა, იმ დროს ხელისუფლებაში მოსულებმა მილიონებში აფათურეს ხელები. რა დასამალია და, გაზეთ „აჭარასაც“ ალმაცერად დაუწყეს მზერა. კუთხის, ქვეყნის სახელოვანი შვილების ხმა რომ არა, თითქმის საუკუნის ტოლი გაზეთი აღარ შეგვრჩებოდა. მივესალმები, რომ ამ დღეებში „აჭარამ“ 103 წელს გადააბიჯა. ვინც ამ გაზეთში მუშაობთ, მათ შორის ჩემი თანაკურსელი მარინა მითაიშვილი, ყოფილი კოლეგა ოთარ ცინარიძე, ცოლის დისშვილი ნანა აბულაძე და სხვები, ყველამ თავი ვალდებულად ჩათვალეთ, რომ მეტი გააკეთოთ, თაობებს გაზეთის ფურცლებიდან მიმდინარე პროცესების აქტუალობა შემოუნახოთ. ასეთი ხანდაზმული გაზეთი ქვეყანას აღარ შემორჩა. ყველა ჟურნალისტს პროფესიულ დღეს გილოცავთ.

**- თქვენი პუბლიცისტური წერილები, სტატიები მოვლენათა კრიტიკული ანალიზით გამოირჩეოდა...**

- 1991 წლიდან, საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელი ფედერაციის წევრი ვარ. ეს მავალდებულებს, ობიექტური, გაწონასწორებული პუბლიცისტი ვიყო. მკითხველი ყველაზე ულმობელი მსაჯულია. ცხოვრებას არ ვემდური. შვილებით, შვილიშვილებით ვხარობ. წიგნში „ნენია“ ვწერ: „დაე, ყველაფერი ცუდი და არაკაცური დავიწყებას მიეცეს, წაშალოს დრომ, ჩაიმარხოს, ჩაიწვას, ჩაიფუფქოს, ჩანაცრდეს და გაქრეს. გზა და გასაქანი მხოლოდ ისეთ ფაქტებს მივცეთ, ცხოვრებას რომ გაალამაზებს და მომავალ თაობას მაგალითად გამოადგება“. ჟურნალისტს თუ მომდურავი არ ჰყავს, რა ჟურნალისტი ხარ?! კრიტიკა, ავი და მავნე საქმის სამზეოზე გამოტანა არავის სიამოვნებს. ობიექტურობისთვის არასდროს გადამიხვევია, არც მიკერძოებულ სტატიებს ვწერდი.

**- წიგნი „ნენიაც“ ამ პათოსითაა დაწერილი?**

- წიგნის გარეკანზე გამოტანილია ფრაზა: „მთავარანგელოზს აქ რომ გაუვლია, აქედან დაულოცავს მთელი საქართველო“ - მგონი ეს ყველაფერზე მიანიშნებს. 200-გვერდიანი წიგნით ვერ ამოწურავ სათქმელს. თუ დამცალდა, პირველი გამოცემა მინდა გავამდიდრო მრავალი პუბლიცისტური სტატიით. ნენია, მისი ადამიანები ამას იმსახურებენ.

**- თქვენი შეხედულება - ქართულ ჟურნალისტიკაზე.**

- ადგილობრივ გაზეთში კორექტურა რომ გაიპარებოდა, ყველა განვიცდიდით. ღამეებს ვათენებდით, რომ გაზეთი გამავრცელებლებთან, რაიონის ხელმძღვანელებთან დროულად მისულიყო. თითოეული სტრიქონი ტყვიაში ისხმებოდა. გული მეტკინა, როცა შუახევის სტამბაში არსებული ლინოტიპები, საბეჭდი მანქანები ჯართში ჩააბარეს. ისინი სამუზეუმო ექსპონატები იყო. კომპიუტერულ ეპოქაში დაუჯერებელია, რომ ისეთ რთულ პირობებში ვმუშაობდით. ერთი რამ ნამდვილად გულსატკენია: ჟურნალისტთა გარკვეული ნაწილი ცილისმწამებლურ სიუჟეტებს ან სტატიებს ამზადებს. მათ მიმართ საჯარიმო სანქციები უნდა დაწესდეს. თუ მარეგულირებელი კანონი არ გვექნება, ასეთ დღეში დიდხანს ვიქნებით.

# სხვადასხვა თაობის ქალი პოეტები – შუახევში

***შუახევის კულტურის ცენტრის დირექტორის მოადგილის, მწერლის ვახტანგ გოგრაჭაძის ინიციატივითა და შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, სხვადასხვა თაობის ქალ პოეტებს შეხვდნენ***

ბათუმელი ცისანა ანთაძე 80 წელსაა გადაცილებული, ქედელი ნათელა დუმბაძე - 60-ს, მალე ნახევარი საუკუნე ჩამოიფურცლება ლანჩხუთელი, ახლა ბათუმში მცხოვრები ნანა შაინიძის ცხოვრების კალენდარზე, 40 წლისაც არ არიან ხულოელი, სოფელ უჩხოში მცხოვრები ნანა აბულაძე და ქობულეთელი ჟანა ანანიძე, ხელვაჩაურის რაიონის ჭარნალის საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლეა ხატია აბაშიძე... შეხვედრა ვახტანგ გოგრაჭაძემ გახსნა და დამსწრეთ ღონისძიების მნიშვნელობაზე ესაუბრა.

„რა არის პოეზია?“ - ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ორგანიზატორმა დამსწრეთ სთხოვა. პასუხი ანონიმური უნდა ყოფილიყო, რათა კომპეტენტურ ჟიურის გამარჯვებული ყოველგვარი მიკერძოების გარეშე გამოევლინა.

ვიდრე დარბაზი კითხვაზე პასუხს გასცემდა, პოეტმა ქალებმა საკუთარი ლექსები წაიკითხეს.

შეხვედრის მონაწილეებს მიესალმნენ საქართველოს მწერალთა კავშირის წევრები ოთარ ცინარიძე, ფრიდონ დავითაძე, შუახევის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე რუსუდან შავაძე, შუახევის საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე, გენდერული თანასწორობის მუნიციპალური საბჭოს თავმჯდომარე ფატი ჭაღალიძე, შუახევის კულტურის ცენტრის დირექტორი მაია დავითაძე, დამწყები პოეტი ანრი მუთიძე.

დამსწრეთ წინაშე წარსდგნენ სატელევიზიო გადაცემის ავთენტური ანსამბლი „ჭვანა“, ბენდი „117“, „პატარების დიდი შოუს“ მონაწილე საბა დიასამიძემ ცეკვით გაახალისა დარბაზში შეკრებილები.

გამოვლინდა კონკურსის გამარჯვებულებიც - ჟიურიმ დღვანის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელ ირმა კეკელიძის პასუხი საუკეთესოდ სცნო. ირმაც პოეტია. მისი ლექსების პირველი კრებული „ვეძებ სათაურს“ შარშან გამოვიდა. გამარჯვებული მონაწილეებს მიესალმა და საკუთარი ლექსი წაიკითხა.

შეხვედრაზე მოწვეულ პოეტებს ორგანიზატორმა და მხარდამჭერებმა სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს და სადილზე მიიპატიჟეს.

**ცისანა ანთაძე:** - ახალბედა პოეტი პირველ ნაბიჯებს ვდგამდი, როცა შუახევს ვესტუმრე. მერი თურმანიძის, ოთარ ფევაძის, ნიაზ ზოსიძის სახით, აქ მრავალი მეგობარი მყავს. შაქირ (ყაჭო) ზოსიძიდან დაწყებული, ისინი ჩემი ლექსების ადრესატები არიან. ასაკის მიუხედავად, ვახტანგ გოგრაჭაძის მოწვევას სიამოვნებით დავთანხმდი და არაფერი წამიგია. შუახეველები კარგი მასპინძლები არიან. მოვიხიბლე



საბა დიასამიძის ცეკვებით. ისე, შუახევში მოპატიჟების გარეშეც უნდა მოვიდეთ, მთას, პოეტების შემოძახილი უნდა ახმიანებდეს.

**ნათელა დუმბაძე:** - კარგი ღონისძიების მონაწილენი გავხდით. ეს წამოწყება სხვებმაც უნდა აიტაცონ. აუდიტორიის წინაშე გამოსვლა ყოველთვის მახარებს, მაგრამ დღეს სულ სხვა გარემო იყო, შეხვედრის დასრულება არ მინდოდა. ასეთი შეკრებები ერთმანეთს კიდევ უფრო გვაახლოებს.

**ნანა შაინიძე:** - შუახევი, გურიაში გაზრდილი ქალისთვის, უცხო ვერ იქნება, ის ჩემი სახლია, რადგან ჩემი შვილები აქაური მახარაძეების შთამომავლები არიან. ისინი მასულდგმულებენ და მაძლიერებენ. ერთ ხანს შუახევში კიდეც ვიმუშავე. პოეტი ქალისთვის თითოეული ლექსი შვილის ტოლფასია. ბედნიერი ხარ, როცა ადამიანები გისმენენ, ნაშრომს გიფასებენ.

**ჟანა ანანიძე:** - შუახევში ღონისძიებას პირველად დავესწარი. კარგია, როცა პოეტს საზოგადოება უსმენს. მისაბაძია ვახტანგ გოგრაჭაძის და სხვების ინიციატივა და ჩვენც გვერდით უნდა დავუდგეთ.

**ირმა კეკელიძე:** - ილიას დავესესხები: „ღმერთო, ღმერთო ეს ხმა ტკბილი, გამაგონე ჩემს მამულში“. პოეტი, თანამოკალმე ქალების ლექსების მოსმენა ჩემს მამულში დიდი პატივია. გვეამაყება აჭარაში მომუშავე ქალ პოეტებს, რომ ქალბატონ ცისანას სახით, ღირსეული გზამკვლევი, დამრიგებელი, თანამოკალმე და მეგობარი გვყავს. მის წინაშე ყველა ვალში ვართ, საკადრისად ვერ ვეფერებით. ის ყოველ დაძახებაზე ჩვენთანაა და ახალი ლექსებით გვასაზრდოებს.

**ტარიელ ბოლქვაძე,** ანსამბლ „ჭვანას“ სამხატვრო ხელმძღვანელი: - სხვადასხვა თაობის ქალი პოეტები შუახევში პირველად არიან. მათ წინაშე განახლებული რეპერტუარითა და შემადგენლობით გამოვედით. ჩემი აზრით, ამ ღონისძიებას დიდი დატვირთვა ჰქონდა და მიზანსაც მიაღწია. ვისურვებდი, მსგავსი შეხვედრების სოფლებშიც გამართვას.

# ნიკოლიმ ლუქსემბურგში გაიბრწყინა




ელეონორა ტვასოვა და ოლეგ ფადეევი ბათუმში ცხოვრობენ. მათი წინაპრები საუკუნის წინათ უკრაინიდან საქართველოში ჩამოვიდნენ საცხოვრებლად და სამუშაოდ. ბედნიერი წყვილი ორი ერის მეგობრული, კეთილმეზობლური ურთიერთობების სანიმუშო მაგალითია. ორივემ შესანიშნავად შეისწავლა ქართული ენა. მათი შვილები ბათუმის მეოცე საჯარო სკოლის მოსწავლეები არიან.

- ღირსეული წინაპრების მსგავსად, ქართველებთან მეგობრული, საქმიანი ურთიერთობები გვაქვს, - გვითხრა ელეონორამ, - მე დიასახლისი ვარ, ოლეგი - მეზღვაური. სამ შვილს ვზრდით, რომლებიც ბათუმის მე-20 საჯარო სკოლაში სწავლობენ. ქართველებთან კეთილი დამოკიდებულების ნიშნად, შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ გომარდულში საცხოვრისიც გავიჩინეთ. ამ ეტაპზე შენობის შიდა სამუშაოებით ვარ დაკავებული. მინდა გომარდულელებთან ერთად, აქაურობა ტურისტულ ობიექტად ვაქციო. ბავშვებსაც ძალიან უყვართ გომარდული, მთის სოფლის მიმზიდველი ბუნება, ზამთარში თოვლზე სრიალი, მით უმეტეს, რომ ჩემი 13 წლის ნიკოლი ყინულზე ციგურაობითაა გატაცებული.

ნიკოლი 4 წლის იყო, როცა ბათუმის ყინულის სასახლეში მიიყვანეს. პედაგოგ ლელა ჩოფიკაშვილს უყურადღებოდ არ დარჩენია ბავშვის ნიჭი. 9 წელია, დამრიგებელი და მოსწავლე ერთად მოდიან. ორივეს მონაგარია ის მედლები, სიგელები, რომლებიც ნიკოლიმ დროის ამ მონაკვეთში მოიპოვა. ნორჩმა სპორტსმენმა წლევანდელი წელიც წარმატებით დაიწყო. ლუქსემბურგში გამართულ შეჯიბრებაზე მისი ასაკის მონაწილეთა შორის, პირველი ადგილისა და მთავარი პრიზის მფლობელი გახდა.

- საქართველოში და-ძმასთან, მშობლებთან ერთად ვცხოვრობ. მშობლები მეოთხე თაობის ბათუმელები არიან, შვილები - მეხუთე. ეს ქვეყანა, ეს მიწა ჩვენთვისაც მშობლიურია. უკვე რამდენიმე რესპუბლიკური და საერთაშორისო ასპარეზობის მონაწილე ვარ. ყველგან საქართველოს დროშით გამოვდივარ. ქართულ სკოლაში სწავლა, ქართველ მწვრთნელთან დაოსტატება ჩემთვის უდიდესი პატივია. მიზანი ერთი მაქვს - კარგი სწავლით, სპორტული წარმატებებით ვასახელო საქართველო. და ემილია და ძმა დავითიც სპორტით არიან გატაცებულები. წარმატებული გამოსვლის შემდეგ, მეკითხებიან: ვის მივუძღვენი ეს გამარჯვება? პასუხი ყოველთვის ერთი მაქვს - საქართველოს, დედას და ჩემს მწვრთნელს, - გვითხრა ნიკოლიმ.

**გვერდი მოამზადა ოთარ ცინარიძემ**

# ხშირად კვლავ სცენაზე გავარდნა და ცეკვა სურს

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

***ჩვენი სტუმარია ბათუმელი, სამეჯლისო და სპორტული ცეკვების შემსრულებელი ნიკე კეშელავა, რომელიც ფართო საზოგადოებამ სატელევიზიო შოუდან „ცეკვავენ ვარსკვლავები“ გაიცნო და შეიყვარა***

*სამეჯლისო ცეკვაზე 7-8 წლის ასაკში შეიყვანეს და იმდენად შეუყვარდა, თავის ძირითად პროფესიად აირჩია. ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტი ზოგადი მენეჯმენტის მიმართულებით დაამთავრა. 2005 წლიდან სოლო შემსრულებელი გახდა, 2012 წლიდან კი უკვე თავის მეუღლე ანტონ ჩერუშევთან ერთად წყვილში ცეკვავდა. 2014 წელს საქართველოს თასის მფლობელები გახდნენ. „ცეკვავენ ვარსკვლავების“ VI სეზონზე ნიკე რუსეთში მოღვაწე უკრაინელ მსახიობ სტანისლავ ბონდარენკოს მეწყვილე გახლდათ. პროექტში მონაწილეობის პირველივე წელს ნიკე პროექტის გამარჯვებული გახდა. ამჟამად მას სამეჯლისო ცეკვების საკუთარი სტუდია აქვს, რომელსაც მისივე სახელი „ნიკე“ ჰქვია. აქ მოსწავლეებს ცეკვას მეუღლესთან ერთად ასწავლის. ნიკე უზომოდ თბილი და ხალისიანი ადამიანია, ინტერვიუც ასე - სიცილ-ხარხარში ჩავწერეთ.*



**- თქვენი პირველი ნაბიჯები ცეკვაში...**

- 7-8 წლის ვიყავი, როცა ჩვენთან ახლოს ცეკვის წრე გაიხსნა და დედამ შემიყვანა. თავად დედაც ცეკვავდა, ბალერინა გახლდათ და სპორტულ ცეკვებშიც ჰქონდა გამოცდილება. მისი სურვილი იყო, რომ მეცეკვა.

**- თქვენი პირველი წარმატება...**

- ეს იყო სოლო კატეგორიაში საქართველოს ჩემპიონობა. სხვადასხვა საფეხური იყო გასავლელი, ყველა კატეგორიაში გავიმარჯვე. გავხდი როგორც საქართველოს, ასევე, კავკასიის თასის მფლობელიც.

**- ყველაზე დასამახსოვრებელი რომელი კონკურსი გამოდგა?**

- მე და ანტონმა წყვილში რომ დავიწყეთ ცეკვა, ბევრ წარმატებას მივაღწიეთ. 2015 წელს უფროსების კატეგორიაში ვცეკვავდით (ყველაზე მაღალი საფეხურია). საერთაშორისო შეჯიბრში „Ankara WDSF Open Rising Stars 30“, რომელიც ანკარაში ჩატარდა, 12 ქვეყნის 56 წყვილს შორის მესამე ადგილზე გავედით. მანამდე, 2013 წელს, „Batumi WDSF International Open“-ზე მე-2 ადგილი დავიკავეთ. 2014 წელს უფროსების კატეგორიში, ლათინო-ამერიკულ პროგრამაში საქართველოს თასის მფლობელები გავხდით, 2019 წელს კი „Tbilisi WAPA World Championship“-ზე პირველი ადგილი მოვიპოვეთ. პირველი წყვილი ვართ, ვინც საქართველოს თასი აჭარაში ჩამოიტანა. „ცეკვავენ ვარსკვლავებში“ გამარჯვება დასამახსოვრებელი იყო. პირველად მივიღე მონაწილეობა და გავიმარჯვე სტანისლავ ბონდარენკოსთან ერთად.



**- მას შემდეგ გქონდათ შემოთავაზება მონაწილეობაზე?**

- დიახ, 4 წლის განმავლობაში მწერდნენ, რომ მონაწილეობა ისევ მიმეღო, მაგრამ რადგან საცეკვაო სტუდია უკვე გახსნილი გვქონდა და ჩვენც მოქმედი მოცეკვავეები ვიყავით, ბათუმიდან თბილისამდე კი დიდი გზაა, ერთდროულად ორ ადგილას ვერ ვიქნებოდით. ძალიან ძნელია, ცეკვავდე ისე აქტიურად, როგორც ვცეკვავდით და თან - ბავშვები მოამზადო. დღეში 6 საათს მხოლოდ ვარჯიშს რომ უთმობ, მოსწავლეებიც გყავს და პირადი ცხოვრებაც გაქვს, 24 საათში ფიზიკურად ვერ ჩაატევ ყველაფერს (იცინის).

**- სხვა კონკურსებში არ გსურთ მონაწილეობა?**

- სიმართლე გითხრათ, „ცეკვავენ ვარსკვლავების“ შემდეგ ძალიან დაღლილი ვიყავი. ჯანმრთელობის პრობლემებიც შემექმნა - მუხლებზე ორი წლის განმავლობაში ვმკურნალობდი, ტკივილები მქონდა და სიარულიც მიჭირდა. რაღაც პერიოდი ვერ ვცეკვავდი, მაგრამ მაინც დავუბრუნდი ჩვენს საქმეს, რადგან უკვე სტუდია გვქონდა და ჩემპიონი ბავშვებიც გვყავდა... ან ჩვენ უნდა გვეცეკვა, ან მოსწავლეებისთვის მიგვეხედა. რა თქმა უნდა, ყურადღება მთლიანად ბავშვებზე გადავიტანეთ. ბუნებრივია, ცოტათი მწყდება გული. ვფიქრობ, შეგვეძლო ბევრად უფრო მეტი წარმატებისთვისაც მიგვეღწია, მაგრამ ეს გზა ავირჩიეთ და გვეამაყება ჩვენი მოსწავლეები.

**- საინტერესოა, როგორი იყო „ცეკვავენ ვარსკვლავების“ შიდა სამზარეულო, მონაწილეებთან როგორი ურთიერთობა გქონდათ?**

- ბუნებრივია, ეკრანებზე დანახულისგან სრულიად განსხვავებული სიტუაცია შეიძლება იყოს შიგნით. რა თქმა უნდა, იყო დაძაბულობაც, სტრესიც. ყველა იმისკენ მიისწრაფოდა, რომ საკუთარი თავი მაქსიმალურად წარმოეჩინა. ჩემთვის მთავარი მხოლოდ საკუთარი თავი არ ყოფილა, ვცდილობდი, რომ ჩვენი წყვილი შემდგარიყო და კარგად წარმოჩენილიყო. მთელი დღის განმავლობაში ვვარჯიშობდით ან გადაღებაზე ვიყავით. ყველაფერი ერთ კვირაში უნდა მოგვესწრო, გამუდმებით სტრესში ვიყავით. ავარიაშიც მოვხვდით - მანქანა ორჯერ გადაბრუნდა, როცა ზუგდიდის შეხვედრიდან ვბრუნდებოდით, მეორე დღეს პირდაპირი ეთერი გვქონდა. სტანისლავს შეხვედრაზე ხატი აჩუქეს და ისიც მოგვქონდა. შეჯახებისას, მანქანა ორჯერ რომ გადაბრუნდა, ფილმებში ხომ გინახავთ - შიგნით ნივთები შენელებული კადრებით რომ ფრიალებს, ზუსტად ეგრე ვხედავდი ყველაფერს. გადაგვარჩინა იმან, რომ ღვედი გვეკეთა, არც ერთი არ დავშავებულვართ. სამი ადამიანი ვისხედით მანქანაში და ნაკაწრიც კი არცერთს გვქონია. ხატსაც არაფერი მოსვლია. შოკი გვქონდა, გადაბრუნებული მანქანიდან გამოსვლას რომ ვცდილობდით. სასწაულით გადავრჩით.

**- რა მოგცათ ამ პროექტმა?**

- ალბათ უფრო ცნობადობა და საკუთარ საქმეში მეტი გამოცდილება.

**- სტანისლავი როგორი მეწყვილე იყო?**

- ძალიან კარგი, მეგობრული და, რაც მთავარია, არ მეშინოდა მასთან ცეკვის. ეს მნიშვნელოვანია, რადგან როცა შოუ იდგმება და ნომერში რთული ილეთებია შესასრულებელი, აუცილებელია, მეწყვილეს ბოლომდე ენდობოდე. იმის შიში არ უნდა გქონდეს, რომ წაგაქცევს, ტრავმას გადაურჩები თუ არა. საკმაოდ სწრაფი რეაქციები ჰქონდა ამ მხრივ, ფიზიკურადაც ძლიერი იყო, ამიტომ დარწმუნებული ვიყავი მასში. სხვათა შორის, როცა პროექტში მიმიწვიეს და მითხრეს, რომ სტანისლავ ბონდარენკოსთან ერთად უნდა მეცეკვა, არც კი ვიცოდი, ვინ იყო (იცინის). არადა, აქ ბევრი უყურებდა სერიალებს მისი მონაწილეობით და საკმაოდ დიდი აჟიოტაჟი იყო მის ჩამოსვლასთან დაკავშირებით. სულ ცეკვით ვარ დაკავებული, იმის დრო არ მრჩება, რომ ფილმებს, სერიალებს ვუყურო.

**- როცა გამარჯვებულებად გამოგაცხადეს...**

- ეს იყო უზომო სიხარული. გულის სიღრმეში ველოდით კიდეც გამარჯვებას, მაგრამ, ბუნებრივია, ბოლომდე მაინც არ იცი, როგორი შედეგი იქნება. ყველაფერი ერთ წამში შეიძლება შეიცვალოს. ძალიან დიდი შრომა და ენერგია ჩავდეთ ამ გამარჯვებისთვის.

**- როგორია თქვენი და ანტონის სიყვარულის ისტორია, როდის შედგა თქვენი წყვილი და როგორ განვითარდა ურთიერთობა?**

- 12 წლის წინ, 2012 წელს, ანტონი საქართველოში რუსეთიდან ჩამოვიდა. 23 წლის იყო. სამეჯლისო სპორტული ცეკვების მიღებული პრაქტიკაა, სპეციალურ საიტზე შეგიძლია განათავსო განაცხადი, რომ მეწყვილეს ეძებ. ზოგი ლათინო-ამერიკულ პროგრამას ცეკვავს, ვიღაც ევროპულ პროგრამას მიჰყვება, არიან ისეთებიც, ვინც ათივე ცეკვას ასრულებს. საიტზე წერ - რომელი კლასის მოცეკვავე ხარ, ტვირთავ სურათს, ცეკვის ვიდეოებს და შემდეგ პოტენციური მეწყვილე გეხმიანება. თუ კლასების მიხედვით ყველაფერი დაემთხვა, მისი ცეკვა მოგეწონა, მასაც გაუგზავნე შენი ცეკვის ვიდეოები და შედგა ორმხრივი კავშირი, პარტნიორი ჩამოდის და წყვილს, ასე ვთქვათ, საცდელი გაკვეთილი უტარდება. თუ ცეკვის დროსაც კარგად შეეწყო წყვილი ერთმანეთს და პირობებიც ორივე მხარეს მოეწონა (მაგალითად, ჩვენი მხრიდან ანტონს საცხოვრებელი ადგილი შევთავაზეთ), რა თქმა უნდა, მეწყვილე რჩება. ანტონი დარჩა და ჩვენი წყვილიც შედგა. ორივეს ერთი მიზანი გვქონდა, უზომოდ შეყვარებულები ვიყავით სპორტულ ცეკვებზე. სულ ერთად ვიყავით, დილიდან დაღამებამდე დარბაზში ვვარჯიშობდით, საზღვარგარეთ შეჯიბრებებზე ერთად გავდიოდით... თავისთავად აეწყო ეს ყველაფერი და 2019 წელს შევუღლდით. სიმართლე გითხრათ, ოჯახზე არც კი ვფიქრობდით, კარიერაზე ვიყავით ორიენტირებულები, გვინდოდა, რაც შეიძლება მეტი წარმატებისთვის მიგვეღწია, თუმცა ყველაფერი თავისით დალაგდა. შვილები ჯერ არ გვყავს. ბევრი მოსწავლეა ჩვენთან, მათ უკან მშობლები დგანან, ყველას თავისი კითხვა აქვს... ძალიან შრომატევადია ეს ყველაფერი. არა მარტო ფიზიკურად, მორალურადაც იღლები. როდესაც შენი სტუდია თანდათან იზრდება, გაცილებით მეტ დროს უთმობ ყველაფერს...

**- სტანისლავთან რომ ცეკვავდით, მეუღლეს რა რეაქცია ჰქონდა?**

- ადეკვატური (იცინის). ყოველ კვირას ჩამოდიოდა და გვეხმარებოდა კიდეც. ერთმანეთს ძალიან ვენდობით. ჩემში ბოლომდე დარწმუნებულია და მეც - ასევე.

**- მოცეკვავე რომ არ ყოფილიყავით, რომელ სფეროს აირჩევდით?**

- ვფიქრობ, ისევ ხელოვნებაში ვიქნებოდი. სხვათა შორის, ხელნაკეთი ნივთების დამზადება მიყვარს. ბავშვობაში ახალი წლის სათამაშოებს ვამზადებდი და ძალიან მიყვარდა ეს პროცესი, თუმცა მაინც ვერ წარმომიდგენია სხვა რამით ვიყო დაკავებული, გარდა ცეკვისა. ბავშვობიდანვე, როცა ცეკვიდან სახლში მოვიდოდი, ისევ ცეკვის ვიდეოს ვრთავდი და ვუყურებდი. შემდეგ სარკესთან ვდგებოდი და ვცდილობდი, რომელიმე ილეთი გამეკეთებინა. მამაჩემიც კი მეუბნებოდა, მიკვირს, როგორ შეუძლია ადამიანს ერთი საქმით იყოს დაკავებული და არ ბეზრდებოდესო. ახლაც მაკლია ცეკვა, როცა ჩემი მოსწავლე რომელიმე კონკურსზე ცეკვავს, უფრო მეტად განვიცდი, ვიდრე ჩემი ცეკვისას განვიცდიდი. სცენაზე გავარდნა და ცეკვა მინდება ხოლმე (იცინის).

**- როგორ წარმოგიდგენიათ საკუთარი თავი 10 წლის შემდეგ?**

- რა თქმა უნდა, ისევ ამ სფეროში, უკვე შვილებით. ცხადია, ჩვენი შვილი პატარაობიდანვე ჩვენს სტუდიაში ივლის, თუმცა გზა თავად უნდა აირჩიოს. ჩვენ, რა თქმა უნდა, არ დავაძალებთ ცეკვას. ჩემი მშობლებიც ასე იყვნენ, რადგან ხედავდნენ, რომ ეს საქმე მიყვარდა, ყველანაირად ცდილობდნენ, ხელი შეეწყოთ. რეალურად, ეს ცეკვები დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული. ცხოვრებაში ალბათ ყველას გვაქვს პერიოდი, როცა ფინანსური პრობლემები გვქონია, თუმცა, მიუხედავად ამისა, ჩემი მშობლები ყველაფერს აკეთებდნენ, რომ მეცეკვა. გზაზე დამაყენეს, ჩემი ბედნიერებისთვის ყველაფერი იღონეს. ძალიან მადლიერი ვარ მათი და ცხოვრების ბოლომდე ასე იქნება!



# „სიჩუმეში ვპოულობ იმ ხმას, რაც სამყაროს ხმაურში იკარგება“

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

*ჩვენი დღევანდელი ინტერვიუერი ახალგაზრდა, ნიჭიერი, დამწყები მწერალი* ***ნინო ჩხარტიშვილია.*** *იგი ოზურგეთში დაიბადა, ნოველების წერა სიყრმის ასაკში დაიწყო და მიხვდა, რომ ეს პროცესი ყველაზე მეტად სიამოვნებდა. ბუნებრივია, მკითხველს ყოველთვის აინტერესებს, მწერლის შემოქმედების რა ნაწილია რეალური და რა - წარმოსახვის ნაყოფი. სხვა დამწყები მწერლების მსგავსად, ნინი ფიქრობს, რომ მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი გულწრფელობაა: ნამდვილი განცდებით გაჯერებული რეალური ადამიანების ისტორიები. მისი ორი ნოველა ახლახან ჟურნალ „ჭოროხში“ დაიბეჭდა და დიდი წარმატებისკენ პირველი ნაბიჯიც გადადგა. მას საკუთარ შემოქმედებასა და ცხოვრებაზე ვესაუბრეთ.*

**- ნინი, როდის მიხვდით, რომ თქვენში მწერლის ნიჭი იმალებოდა?**

- ალბათ მაშინ, როცა გავაანალიზე მარტოობა. ფიქრი და წერა ჩემთვის სხვა სამყაროს გასაღებია. სიჩუმეში ვპოულობ იმ ხმას, რაც სამყაროს ხმაურში იკარგება.

**- რამდენი ხანია, რაც მხატვრულ ჩანახატებს წერთ და, კონკრეტულად, რამ განაპირობა თქვენი ნაწარმოებების შექმნის სურვილი?**

- რვა წლის ვიყავი, როცა პირველად დედაზე დავწერე ლექსი. ძალიან გაუხარდა... დღემდე მახსოვს ეს ემოცია. ლექსებს ვწერდი 11-12 წლამდე და სკოლაშიც არაერთ კონკურსში ვმონაწილეობდი, ვიღებდი სხვადასხვა სიგელს. მოგვიანებით, ლექსების წერას შევეშვი და მოთხრობების წერა დავიწყე. მივხვდი, რომ ეს უფრო დიდ სიამოვნებას მანიჭებდა, რადგან შემეძლო, გამეცოცხლებინა და ამელაპარაკებინა ყველა არსება. განსაკუთრებით მიყვარს ცხოველები და ჩემი ნაწარმოებების უმეტეს ნაწილში ცხოველები დომინირებს. პირველად სწორედ ჩემს ლეკვზე დავწერე მოთხრობა, როდესაც დამეღუპა. მახსოვს ზამთრის სუსხიანი დღე, სკოლიდან სწრაფად მომავალი პატარა ნინი, რომელსაც სახლში ავადმყოფი ლეკვი ელოდებოდა და მისთვის წამალი მიჰქონდა. მეგონა, თუ ამ წამალს სწრაფად მივიტანდი, სიკვდილი ვერასდროს შეეხებოდა იმას, რაც ასე ძალიან მიყვარს, მაგრამ ასე არ იყო... მის თეთრ, გაყინულ სხეულზე დაცემული ზამთრის პირველი ფიფქი ჩემი სევდიანი მოთხრობის შექმნის მიზეზი გახდა.

**- როგორ იბადებიან თქვენი ნოველების პერსონაჟები?**

- მათი ყველა პერსონაჟი თითქმის ნამდვილია. ისინი არიან სამყაროს ჩარჩოში მოქცეული პატარა ნაწილაკები, რომლებსაც თავიანთი ბუნებით ამ ჩარჩოს დამსხვრევა და



გაცამტვერება შეუძლიათ.

**- რამდენად მძაფრად გრძნობთ კავშირს თქვენივე პერსონაჟების მიმართ?**

- როგორც იცით, ავტორი უნდა შეძვრეს თითოეული პერსონაჟის ტყავში, განიცადოს ის, რასაც თავად გრძნობს, წინააღმდეგ შემთხვევაში ნაწარმოები ცარიელი და უემოციო იქნება. მეც მათთან ერთად გავდიოდი იმ გზას, რასაც ისინი გადიოდნენ და იმის ნაწილი ვიყავი, რისთვისაც მათი გულები რწმენით ივსებოდა.

**- როდის დგება დრო, როცა მათთან კავშირი ბოლომდე უნდა გაწყვიტოთ?**

- მათთან კავშირის გაწყვეტა რთული იქნება, რადგან ისინი მაძლევენ ძალას, გადავლახო ყველა დაბრკოლება. შეიძლება იმიტომაც არის ეს შეუძლებელი, რომ ზოგიერთ პერსონაჟს საკუთარი თვისებები მივაწერე.

**- სულ რამდენი ნაწარმოები გაქვთ დაწერილი და რას ასახავს ისინი?**

- ექვსი ნოველა და ერთი რომანი დავწერე. თითოეული მარტოობას, უხილავი მტრის წინააღმდეგ ბრძოლასა და გამარჯვების დაუცხრომელ სურვილს ასახავს.

**- განსაკუთრებული წელი ან მოვლენა, რომელიც ამ მხრივ ყველაზე გარდამტეხი აღმოჩნდა თქვენთვის...**

- ჩემთვის ყველაზე რთული 2019-2020 წლები იყო, რადგან ამ პერიოდში დავკარგე ახლობელი ადამიანები, რომლებთანაც ჭეშმარიტი მეგობრობა და სიყვარული მაკავშირებდა. ამ რთულ პერიოდში დავწერე რომანი, სადაც ჩემი საყვარელი ადამიანები მთავარი პერსონაჟების სახით გვევლინებიან. ხშირად გონებაში ვიმეორებ სიტყვებს „თქვენ კვლავ გაცოცხლდებით, როდესაც წაგიკითხავენ“ და ეს შვებას მგვრის.

**- რა გასწავლათ ამ ნაწარმოებებზე მუშაობამ, რა საინტერესო და მოულოდნელი აღმოჩენები გააკეთეთ წერის პროცესში?**

- მათზე მუშაობისას ვისწავლე საკუთარი „მეს“ მოსმენა. გონებაში უამრავი კითხვა მქონდა, წერის პროცესში კი ვპოულობდი პასუხებს. ნაწარმოების დასრულების შემდეგ ბევრი საკვირველი რამ აღმომიჩენია. თუნდაც ის, რომ იგივე ხდებოდა ჩემს ცხოვრებაში, რაც ჩემი პერსონაჟების ცხოვრებაში იყო. მაგალითად, ჩემი რომანის პერსონაჟის მსგავსად დავიწყე მუშაობა რედაქციაში, ერთ-ერთი ნოველის გმირივით კი ავტოავარიაში მოვხვდი. არ ვიცი, ეს უბრალო დამთხვევაა თუ არა, მაგრამ თუ წინასწარმეტყველურ ნიჭს ვფლობ, ჯობს, ამიერიდან მხოლოდ კარგი რამეები ვწერო (იცინის).

**- ვინ არის თქვენი საყვარელი მწერალი?**

- განსაკუთრებით მიყვარს ორი მწერალი: ჰერმან ჰესე და ალბერ კამიუ.

> *„მათი ყველა პერსონაჟი თითქმის ნამდვილია. ისინი არიან სამყაროს ჩარჩოში მოქცეული პატარა ნაწილაკები, რომლებსაც თავიანთი ბუნებით ამ ჩარჩოს დამსხვრევა და გაცამტვერება შეუძლიათ*

**- რომელმა წიგნებმა მოახდინეს თქვენზე გავლენა, როგორც პიროვნებასა და ავტორზე?**

- პირველი, რაც გამახსენდა, ეს ჰერმან ჰესეს „დემიანია“, მთავარი გმირის მისტიკური სახე, რომელიც ანგელოზისა და ეშმაკის საწყისებს მოიცავს. დემიანის პერსონაჟმა ჩემში მეამბოხე სულის ნაწილი გააღვიძა და ჩამახედა იმ უფსკრულში, რომელში ჩახედვასაც ვერიდებოდი. ვფიქრობ, ჩემს პიროვნებასა და წერის სტილზე ამ ნაწარმოებმა გარკვეული გავლენა იქონია.

**- გაქვთ თუ არა საყვარელი ადგილი წერისთვის?**

- ჩემი საყვარელი ადგილი მატარებელია. ძირითადად, მგზავრობისას ვწერ, რადგან მინის მიღმა სამყარო ისეთი მშვიდი, ლაღი და მეგობრული მეჩვენება, რომ თავს დაცულად ვგრძნობ.

**- თქვენი ნაწარმოების რომელ პერსონაჟთან ისურვებდით შეხვედრას?**

- მოთხრობა „უსინათლო და ნუგეშის“ მთავარ გმირ ედუარდოსთან. ედუარდო უსინათლოა, თუმცა თვალხილულზე მეტს ხედავს. მისი მთავარი ხედვა სულის დაფარულ სიღრმეებშია, რითაც სხვებისგან გამოირჩევა. სამწუხაროდ, ედუარდოს ცხოვრებაში ჩნდებიან ბოროტი ადამიანები, რომლებიც ცდილობენ მისი უმწეობით სარგებლობას. ეს პერსონაჟი განსაკუთრებით მიყვარს, რადგან ნათელი მაგალითია იმისა, რომ სიბნელეშიც აღწევს სინათლე, როცა გული სიყვარულითაა სავსე.

**- გყავთ ისეთი პერსონაჟი, რომელიც კონკრეტულმა ადამიანმა შთაგაგონათ?**

- დიახ, მყავს ასეთი პერსონაჟები... თუმცა ისინი ჩემს რომანშია, რომელსაც ჯერ მკითხველი არ გასცნობია. ვისურვებდი, ამაზე უფრო დეტალურად მომავალში მესაუბრა.

**- თქვენი ორი ნოველა ჟურნალ „ჭოროხში“ დაიბეჭდა, რა ემოციები დაგეუფლათ?**

- პირველი ნაბიჯი უკვე გადავდგი და გავაცანი საკუთარი შემოქმედება მკითხველს, რაც მიხარია.

**- სცენარის დაწერა არ გიცდიათ? ან არ გიფიქრიათ, რომ თქვენ მიერ შექმნილი პერსონაჟი, შესაძლოა ფილმის გმირადაც იქცეს?**

- ამაზე ბავშვობაში მიფიქრია. სიამოვნებით ვიხილავდი ჩემს პერსონაჟებს ტელეეკრანზე ან რომელიმე სპექტაკლში, თუმცა ეს შორეული ოცნებაა, მანამდე ბევრი მიზანი მაქვს შესასრულებელი.

**- რას გვეტყვით თქვენი მომდევნო ნაწარმოების შესახებ?**

- ჩემს მომდევნო ნაწარმოებში, წინა ნაწარმოებების მსგავსად, სჭარბობს სიმბოლურ-ალეგორიული ელემენტები. წინა პლანზეა წამოწეული ადამიანის ბედი, მარტოობა და ცხოვრების საზრისის ძიების წყურვილი.

**- რას ურჩევთ დამწყებ მწერლებს?**

- ვურჩევ, რომ იყვნენ ისეთები, როგორებიც არიან. შეიძლება ცხოვრების განმავლობაში შეხვდნენ ბევრ ისეთ ადამიანს, რომლებმაც საკუთარი თავის რწმენა დაუკარგონ, დაარწმუნონ, რომ მათ არ გააჩნიათ შესაძლებლობები და ფუჭად ფლანგავენ დროს. ასევე, ვეტყოდი, რომ საკუთარ თავში ჩაღრმავება, ფიქრი და სიახლის ძიების წყურვილი ხელოვნებასთან უფრო დაგაახლოებთ. სამყაროს ნამდვილად სჭირდება მგრძნობიარე, სუფთა სულის ადამიანები, რომლებიც თავიანთი არსით უდიდეს ძალას დაატარებენ და ეს ყველა ბოროტებაზე ძლიერია.

**- როგორ გესახებათ თანამედროვე მწერალი ქალის კარიერული გზა?**

- თანამედროვე მწერალი ქალის კარიერული გზა ალბათ წინააღმდეგობებით იქნება სავსე, ბევრი კრიტიკის ქარცეცხლსაც გაივლის, მაგრამ მხოლოდ მაშინ გაიმარჯვებს, თუ ბრძოლის ველს არ დატოვებს. როგორც ნიცშე იტყოდა, „ნაყოფიერი მხოლოდ იმ შემთხვევაში ხარ, თუკი წინააღმდეგობებით ხარ სავსე; ახალგაზრდად მხოლოდ იმ პირობით რჩები, თუკი შენი სული გაყუჩებას არ ესწრაფვის...“.

# ხატია აბაშიძის არჩევანი

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

***ხატია აბაშიძე*** *ჭარნალის საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლეა. იგი ახლახან შუახევში გამართული სხვადასხვა თაობის ქალი პოეტების პოეზიის საღამოზე იყო მიწვეული და საზოგადოებრიობის წინაშე ლექსებითა და სიმღერით წარსდგა. საუბარიც იმ დღეს ჩავიწერეთ*

**- ხატია, საღამოს მონაწილეებს დაუსვეს კითხვა: „რა არის პოეზია?“. გამარჯვებულის გამოვლენაში თქვენც მონაწილეობდით. თავად რას უპასუხებდით?**

- პოეზია ეს არის გზა და საშუალება, საკუთარ თავში გადაარჩინო და შეინარჩუნო ადამიანი.

**- თუ გყავთ წინაპარი, რომელმაც მწერლობაში სცადა ბედი?**

- პოეტი - არავინ, თუმცა მამა იყო დაინტერესებული პროზით და ხშირადაც წერდა. მისი ერთ-ერთი მოთხრობა „ნატვრა“ საბჭოთა კავშირის დროინდელ გაზეთშიც გამოქვეყნდა.

**- გაიხსენეთ ის დღე, როცა მუზამ მოგაკითხათ...**

- მაისის საკმაოდ ცხელი დღე იყო, ტაძარში, ლოცვისას ვიგრძენი, რომ ერთდროულად ჩემს გულს, სულსა და გონებას რაღაც სხვა, აღმაფრთოვანებელი გრძნობა ეუფლებოდა. ბევრი აღარ დამიყოვნებია, კალამს მოვკიდე ხელი. შესაბამისად, ჩემი პირველი ლექსიც უფალს ეძღვნება.

**- ვინ იყო პირველი, რომელიც საკუთარი სტრიქონებით გაახარეთ?**

- მამა. იგი ჩემი ყველაზე ერთგული და ამავდროულად, ყველაზე კრიტიკული შემფასებელია. ღრმა ბავშვობაში, ჩემი ცხოვრების სპექტაკლში, მესაიდუმლის როლს მამა თამაშობდა, ასაკის მატებასთან ერთად, იგი დედამ ჩაანაცვლა. საკუთარი ლექსებით კი პირველად სკოლაში, თანაკლასელებთან წარვსდექი.

**- საზოგადოების შეფასებით ვინ უფრო მეტად ინტერესდება?**

- პირველ რიგში, ცხადია, მე, შემდეგ კი მშობლები.

**- საკუთარი ლექსებით თანატოლებს თუ ანებივრებთ?**

- მხოლოდ მათ, ვინც დაინტერესებულია პოეზიით და აწუხებს ისეთივე „ეკლიანი“ აზრები, როგორიც მე.

**- საზოგადოებას თქვენი ლექსები უფრო მოსწონს თუ თქვენი შესრულებული სიმღერები?**

- სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, სიმღერები. მათი თქმით, ძალიან მოსწონთ, როდესაც ისმენენ და ტკბებიან სასიამოვნო, მშვიდი ხმით და ამით რამდენიმე წუთით გაურბიან რთულ და ერთფეროვან რეალობას.

**- სიმღერა და ლექსი - ორივე გეხერხებათ. გული რომლისკენ უფრო მიგიწევთ?**

- ეს ისეთივე რთული კითხვაა, როგორიც „დედა უფრო გიყვარს თუ მამა?“ - ორივე.

**- საკუთარ ლექსზე მუსიკა თუ დაგიწერიათ?**

- მიცდია, თუმცა, ჯერ მხოლოდ მე და ჩემმა როიალმა ვიცით, როგორია ის.

**- მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი პოეზიას როგორ გიფასებთ?**

- ჩემი ბელა მასწავლებელი თავადაც პოეზიის დიდი მოტრფიალე გახლავთ. მისი



დადებითი დამოკიდებულება ჩემი შემოქმედებისადმი ძალიან დიდ მოტივაციასა და საკუთარი თავის რწმენას მაძლევს.

**- სამუსიკო სასწავლებლის მოსწავლე რომელ პედაგოგს გამოარჩევთ?**

- ვოკალურ განყოფილებაში ჩემი მაესტრო ტარიელ გველესიანია, ხოლო საფორტეპიანოში - მეტად საყვარელი, მშრომელი და თბილი მზევინარ ჯიჯეიშვილი.

**- გზამკვლევად რომელი პოეტი და კომპოზიტორი გყავთ?**

- ქართველ პოეტთაგან მიჭირს ერთის გამორჩევა. სამეულს დავასახელებ: შოთა რუსთაველი პიროვნებად მაყალიბებს, ვაჟა - ადამიანურ ჟინსა და ბუნების სიყვარულს მიღვიძებს, ოთარ ჭილაძე კი პირადად ჩემი გულისა და სულის ყველაზე ფაქიზ სიმებზე უკრავს. რაც შეეხება კომპოზიტორს - ბეთჰოვენი, ერთმნიშვნელოვნად.

**- როგორ მოსწავლედ გთვლიან მასწავლებლები?**

- ამაზე დანამდვილებით ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ ვგრძნობ მათ უდიდეს სიყვარულს ჩემდამი, პატივისცემასა და იმედს. მათ თვალებსა და ქმედებებში ხშირად ვკითხულობ: „ვიცი, ჩემი ცხოვრების უძვირფასესი წუთების შენთვის შემოწირვა უკვალოდ არ ჩაივლის“. მეტი რა სჭირდება მოსწავლეს?!

**- პროფესიად რას აირჩევთ?**

- ამ ეტაპზე ზუსტად არ ვიცი, თუმცა, უეჭველია, ცხოვრებას ხელოვნებას დავუკავშირებ.

# ზვიად გამსახურდია – დროის გადასახედიდან

მე-3 გვერდიდან

წინააღმდეგ. სახელმწიფო გადატრიალების უშუალო შემსრულებლები, ძირითადად, რუსეთის საკადრო სამხედროები და სპეცნაწილები იყვნენ (ეს აღიარეს გ. ყარყარაშვილმა, ნ. ნათაძემ, გენერლებმა თ. დუმბაძემ, ს. ბეპაევმა, რუსეთის სახელმწიფო მინისტრმა გ. ბურბულისმა, მოსკოვის იმჟამინდელმა მერმა გ. პოპოვმა). ეროვნული ხელისუფლების მედგარ დამცველებს (115 მათგანი დაიღუპა მთავრობის სახლის დაცვისას) ებრძოდა კოლოსალური სამხედრო ძალა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის რეგულარული ჯარის, კიტოვანის გვარდიელების ფორმაში გადაცმული, ასევე, განჯაში განლაგებული რუსეთის 355-ე სამხედრო პოლკის მებრძოლები, ძერჟინსკის სახელობის ელიტური დივიზია, ეგრეთ წოდებული მერვე პოლკი, სპეცნაწილები „ლამურები“ და „ვიმპელი“. რაც შეეხება კიტოვანის გვარდიას და იოსელიანის „მხედრიონს“, სამხედრო თვალსაზრისით ისინი დიდ ძალას არ წარმოადგენდნენ. უფრო სახიფათონი იყვნენ მტრის მხარეზე გადასული გენერლების - გ. ყარყარაშვილის, თ. ეპითაშვილის, ბ. ქუთათელაძის სამხედრო შენაერთები, მაგრამ მაინც 1991 წლის 27 დეკემბრისთვის ზვიად გამსახურდიას ერთგულმა მებრძოლებმა განდევნეს მთავრობის სახლის მიმდებარე ტერიტორიიდან. ამის შემდეგ კი, დაინახეს რა პუტჩისტების უსუსურობა, რუსეთის შეიარაღებული ფორმირებები აქტიურად ჩაებნენ სამხედრო მოქმედებებში, რამაც გადაწყვიტა კიდეც ბრძოლის ბედი. „ქართული“ უკანონო შეიარაღებული ფორმირებები (თ. კიტოვანის გვარდია, ჯ იოსელიანის „მხედრიონი“ და სხვა) ფაქტობრივად, რუსული ჯარის ქვედანაყოფებად უნდა ჩაითვალონ, რადგან მტრის მხარეზე იბრძოდნენ საკუთარი სახელმწიფოს წინააღმდეგ. ზვიადმა დაინახა, რომ ჩვენი დამოუკიდებლობის გზაზე ახალფეხადგმული ქვეყანა დიდი საერთაშორისო შეთქმულების მსხვერპლი იყო (ამის მტკიცებულებაა ის ფაქტი, რომ მსოფლიოს არცერთი ქვეყნის ხელისუფლებას, ბელორუსიის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე შუშკევიჩის გარდა, არ დაუგმია ეს სახელმწიფო გადატრიალება). უთანასწორო ბრძოლას მრავალი ქართველი პატრიოტის სიცოცხლე შეეწირებოდა და ამიტომ ის მოერიდა დამატებით სისხლისღვრას. 1992 წლის 5 იანვარს გამსახურდიამ, ერთგულ თანამებრძოლებთან ერთად, დატოვა საქართველო, რადგან სხვა ალტერნატივა მას არ ჰქონდა. აღსანიშნავია, რომ იმ ხანებში ძალიან ცუდი როლი ითამაშა „წითელმა ინტელიგენციამ“, რომელმაც მხარი დაუჭირა და იდეოლოგიურად უზრუნველყო სახელმწიფო გადატრიალება. ამ სამარცხვინო ლაქას ეს „ინტელიგენტები“ ვერასდროს ჩამოირეცხავენ.

**- რა დაღი დაასვა ქვეყანას სახელმწიფო გადატრიალებამ როგორც ეკონომიკური, ისე დემოკრატიული პროცესების თვალსაზრისით?**

- სახელმწიფო გადატრიალება საქართველოსთვის კატასტროფა იყო. დაიღუპა უამრავი ადამიანი. შევარდნაძის ჯალათები ხალხს დაუნდობლად ხოცავდნენ. მაგალითად, შს მინისტრმა შოთა კვირაიამ, შევარდნაძის მითითებით, სამეგრელოში 7 ხელფეხშეკრული ადამიანი ავტომატით დემონსტრაციულად დახვრიტა, დედის თვალწინ ზუგდიდში მოკლეს უდანაშაულო ახალგაზრდა გოჩა ჯიქია, საქართველოს ულამაზესი კუთხე სამეგრელო მიწასთან გაასწორეს, აფხაზეთი და სამაჩაბლო მტერს ჩააბარეს, ეკონომიკა გაანადგურეს, ქვეყანა გააჩანაგეს, მოსახლეობა გაძარცვეს, საქართველოში დამყარდა კრიმინალებისა და მკვლელების დიქტატურა, რომელთა „მოღვაწეობის“ ნეგატიურ შედეგებს დღესაც ვიმკით. სახელმწიფო გადატრიალება რომ არა, საქართველო დღეს ერთ-ერთი ყველაზე აყვავებული ქვეყანა იქნებოდა მთელ მსოფლიოში.

**- პოლიტიკოსთა ნაწილი ამბობს, 1991 წლის შემოდგომაზე გამსახურდია რომ გადამდგარიყო, მას ხალხი დააბრუნებდაო...**

- ეროვნული ლეგიტიმური ხელისუფლების მხარდამჭერები საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის ბათუმში, აწყობდნენ მრავალრიცხოვან, მშვიდობიან აქციებს კანონიერი ხელისუფლების მხარდასაჭერად, მაგრამ მათ სისხლში ახშობდა ხუნტა. მაგალითად, 1992 წლის 2 თებერვალს თბილისში, ცირკის მიმდებარე ტერიტორიაზე, „მხედრიონმა“ მოკლა 28 მშვიდობიანი დემონსტრანტი, მათ შორის - არასრულწლოვნებიც, ასე რომ, შიშველი ხელებით, დემოკრატიული მეთოდებით ამ სადისტებთან ბრძოლა და გამსახურდიას ხელისუფლებაში დაბრუნება შეუძლებელი იყო. ასეთმა ვითარებამ განაპირობა ის, რომ საქართველოს ზოგიერთ კუთხეში, ძირითადად, სამეგრელოში, დაიწყო შეიარაღებული დაპირისპირება პუტჩისტების უკანონო ბანდებთან.

**- 1993 წლის შემოდგომაზე გამსახურდიას ქვეყანაში ჩამოსვლა რამდენად გამართლებული იყო?**

- ცალსახად ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა ძნელია. ერთი მხრივ, ზვიადი ცდილობდა, სხვადასხვა არაძალადობრივი გზით, კანონიერი ხელისუფლების უფლებამოსილების აღდგენას. ამის მაგალითად მინდა მოვიყვანო ზვიადის დავალებით ცნობილ დისიდენტ ვ. ნოვოდვორსკაიას ჩამოსვლა ბათუმში. მან ჩამოიტანა პროკლამაციები, სადაც იყო მოწოდება - ბოიკოტი გამოეცხადებინათ 1992 წლის ოქტომბრის ეგრეთ წოდებული იმედის არჩევნებისთვის. მე ის შევახვედრე ასლან აბაშიძეს იმ იმედით, რომ აჭარის მაშინდელი ხელმძღვანელი გაემიჯნებოდა შევარდნაძის რეჟიმს და არ მიიღებდა უკანონო არჩევნებში მონაწილეობას. ამ საკითხში უკეთ გარკვევის მიზნით, გამსახურდიას დაცვის უფროს სოსო თორიას მეშვეობით ტელეფონით იმავე დღეს გროზნოში დავუკავშირდი პრეზიდენტს. ზვიადმა დამავალა, სასწრაფოდ გადამეცა აბაშიძისთვის კატეგორიული მოთხოვნა, რომ არ მიეღო მონაწილეობა ამ უკანონო არჩევნებში. აბაშიძე ყოველმხრივ არიდებდა თავს საკუთარი პოზიციის მკაფიოდ გამოხატვას. მისი ცნობილი „რამეთუს“ უამრავჯერ გამეორების შემდეგ მივხვდი, რომ უკვე ბოლომდე იყო გაყიდული და შევარდნაძის ორბიტაზე ტრიალებდა, ამიტომ მასთან საუბრის გაგრძელებას აზრი არ ჰქონდა. ეს ყველაფერი იმავე საღამოს ტელეფონით გადავეცი პრეზიდენტს. მისი საუბრის ტონით მივხვდი, რომ ასლანის ასეთი პოზიცია არ ესიამოვნა, მაგრამ მოერიდა მის გაკიცხვას (ზვიადმა კარგად იცოდა, რომ საუბარს სუკი უსმენდა). ბოლოს მთხოვა, მოკითხვა გადამეცა მისი მხარდამჭერებისთვის. მეორე მხრივ, ზვიადის ჩამოფრენა გროზნოდან სენაკში 1993 წლის 24 სექტემბერს ლოგიკური იყო, რადგან ის მიხვდა, რომ შევარდნაძე აფხაზეთს რუსებს აბარებდა (ამ საკითხის თაობაზე უტყუარი ინფორმაციაა მოცემული აფხაზეთის უზენაესი საბჭოს დეპუტატის, პროფესორ ნაპოლეონ მესხიას წიგნში „როგორ გასხვისდა აფხაზეთი“) და ყველანაირად ცდილობდა, ეს არ დაეშვა. მე დღევანდელი გადასახედიდან უფრო ვიხრები იმ აზრისკენ, რომ გამსახურდიას ხაფანგი დაუგეს, შემოიტყუეს საქართველოში და გაანადგურეს.

**- ზვიად გამსახურდიას „საქართველოს სულიერი მისია“ - დღევანდელი გადასახედიდან.**

- ეს წიგნი ყველა ნაღდი ქართველის ოჯახში უნდა იყოს, რადგან მასში ზვიადმა ცხადად აჩვენა ჩვენი ერის სიდიადე და მისი მნიშვნელოვანი როლი მსოფლიო ისტორიაში. თავისი შინაარსით „საქართველოს სულიერი მისია“ მკვეთრად უპირისპირდება ჩვენებურ ლიბერალურ იდეოლოგიას, რომლის ერთ-ერთი პოსტულატის მიხედვით, ქართველები, ევროპელებთან შედარებით, ჩამორჩენილი ხალხია და ამიტომ გარედან, „ცივილური“ სამყაროსგან უნდა იმართებოდეს. აი, ეს გარემოება არის ჩვენი „განვითარებული ლიბერალების“ მხრიდან ზვიადის სიძულვილის ძირითადი მიზეზი.

**- დაბოლოს, გამსახურდიას როლი და ადგილი საქართველოს ისტორიაში...**

- ზვიად გამსახურდიას როლი დამოუკიდებლობის მოპოვებაში განუზომლად დიდია. ფაქტობრივად, ის არის დღევანდელი ქართული სახელმწიფოს დამაარსებელი. სააკაშვილი ამაოდ ეპოტინება ამ სტატუსს. ყველა სხვა პოლიტიკოსი, ერთად აღებული, ზვიადს კოჭებამდეც კი ვერ მისწვდება. მისი სახელი ოქროს ასოებით სამუდამოდ შევიდა საქართველოს ისტორიაში. გამსახურდიამ შეძლო ქართველი ხალხის არნახული კონსოლიდაცია და სიმბოლურია, რომ 1991 წლის 31 მარტს, მისი დაბადების დღეს, დაიბადა ახალი დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფო, რადგან ამ დღეს ჩვენმა თანამემამულეებმა რეფერენდუმზე ერთხმად დაუჭირეს მხარი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას, 9 აპრილს კი საქართველოს უზენაესი საბჭოს სესიაზე გამსახურდიამ ეს ისტორიული ფაქტი მთელ მსოფლიოს გააგებინა თავისი ომახიანი შეძახილით: „გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!“. ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ზვიადის როლი დამოუკიდებლობის მოპოვების საქმეში 2020 წლის 8 აგვისტოს, ლაკონურად, ასე ჩამოაყალიბა: „საქართველოს დამოუკიდებლობა ზვიადის მხრებზე დგას!“. ზვიადზე საუბარი მინდა დავამთავრო ამონარიდით ჩემი მეგობრის, აჭარაში ეროვნული მოძრაობის გამორჩეულ წევრ სანდრო ბერიძის წიგნიდან „აზღარბული წელიწადი“: „სხვის ჩექმებში გამოწყობილნი, სხვისივე ავტომატებითა და ტანკებით მისდგომიან კართან, რათა სისხლში ჩაახშონ ჯერ კიდევ ახალფეხადგმული დამოუკიდებლობა და ჯვარზე გააკრან დამოუკიდებლობის მომტანი ადამიანი - ზვიად გამსახურდია, რომელმაც ყველაფერი გაიღო იმისთვის, რომ მონობის უღელი სამუდამოდ მოეშორებინა მშობლიური ხალხისა და ქვეყნისთვის“.

# ახალი ტექნიკა შეიძინეს

თამაზ მგზავრიძე 27 48 93

მთიანი აჭარის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები წლევანდელმა ზამთარმა მკაცრი გამოცდის წინაშე დააყენა, სპეცტექნიკის უკმარისობა ყველგან და ყველაფერში იგრძნობოდა. ამ პრობლემის გამოსასწორებლად ხულოს მუნიციპალიტეტის მერიამ ორი ერთეული სპეცტექნიკა, ამწე კალათა და ექსკავატორ-დამტვირთველი შეიძინა.

ახალი სპეცტექნიკა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს და გააუმჯობესებს როგორც გარე განათების ქსელის მოვლა-შენახვის, ასევე, საავტომობილო გზების გაწმენდისა და მეწყრის სალიკვიდაციო სამუშაოებს. წელს კიდევ დაგეგმილია ნაგავმზიდის, ევაკუატორის, თვითმცლელისა და სახანძრო ავტომობილების შეძენა.




# ბათუმელი ახალგაზრდები – ევროსტრუქტურებში

მე-4 გვერდიდან

დისკუსია ევროკავშირის გაფართოების ირგვლივ და კულტურული პროგრამა: ვიზიტები ბრიუგეში (ევროპის კოლეჯის კამპუსების მონახულება) და ამსტერდამის მონახულება.

**- როგორც აღნიშნეთ, ევროპარლამენტშიც ექნებათ ამ ახალგაზრდებს ვიზიტი...**

- დიახ, შეხვედრები სწორედ ევროპის პარლამენტიდან დაიწყება, სადაც გაიმართება ლექცია და დისკუსია ევროკავშირისა და მისი ინსტიტუციების შესახებ, შეხვედრა ევროპარლამენტის წევრებთან, ასევე, მონაწილეების კონფერენცია და ვიზიტი ევროპის მუზეუმში.

**- იგეგმება თუ არა პრესკონფერენციების მოწყობა რუსეთის მცოცავი ოკუპაციისა და, ასევე, ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ?**

- ვიზიტის მონაწილე ახალგაზრდებს, ევროპარლამენტში დაგეგმილი კონფერენციის მსვლელობისას, მათთვის განკუთვნილი დროის შესაბამისად ექნებათ სიტყვით გამოსვლის შესაძლებლობა, რაც შეიძლება მოიცავდეს ოკუპაციის საკითხზე აქცენტების დასმას. ეს კი პროექტში ჩართული მონაწილეების დისკრეციის (უფლებამოსილების) ნაწილია.

**- მსგავსი პროექტები საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტში თუ ხორციელდება?**

- ასეთი პროექტები ხორციელდება ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა უნივერსიტეტში სტუდენტების თანამონაწილეობით, თუმცა ჩვენი პროექტი აქცენტს აკეთებს აჭარის რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლებასა და ახალი შესაძლებლობების გახსნაზე.

**- ახალგაზრდები უფრო მეტად რომ ჩაერთონ ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაში, რა არის საჭირო?**

- რწმენის და ნდობის გაჩენა პოლიტიკური კლასის მიმართ, რომ პოლიტიკა არ არის ბინძური საქმე და მის შემუშავებაში ახალგაზრდების როლის გაზრდა არის საჭირო.

**- დაბოლოს, უახლოეს მომავალში ხომ არ აპირებთ ახალი პროექტის დაწყებას?**

- ვგეგმავთ ძალიან მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებას, რომელიც ეხება პოსტკრიზისული მენეჯმენტის სწავლებას შვედეთის, ესტონეთისა და საქართველოს მაგალითებზე. პროექტში ჩართული იქნებიან სამი ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში დასაქმებული საჯარო მოხელეები, რომლებიც ერთმანეთს გაუზიარებენ კრიზისების მართვის საკუთარ პრაქტიკას, შეიმუშავებენ ახალ პროტოკოლს როგორც კრიზისების მართვის, ასევე, პოსტკრიზისული მენეჯმენტის შესახებ.

## იყიდება

**ურეხში 800 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი ხეხილითა და ციტრუსით. დაგვიკავშირდით მობილურზე: 574 01 25 62.**

**იკითხეთ ასლანი.**

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ა
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 28/03/24, 18 10 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

# თეატრის საერთაშორისო დღე – ტრადიციული დაჯილდოებით



*თეატრის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, საქართველოს თეატრალური საზოგადოების აჭარის ორგანიზაციამ, ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიულ სახელმწიფო თეატრში ყოველწლიური დაჯილდოება გამართა*

ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის, ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის მსახიობი ქეთევან სამხარაძე დაჯილდოვდა. ამავე თეატრის მსახიობმა სოფიო ცინცაძემ სპექტაკლში „საიდანაც მზე მოდიოდა“ ქალის როლის საუკეთესოდ შესრულებისთვის მიიღო ჯილდო, ხოლო ბაჭიას როლის საუკეთესოდ შესრულებისთვის სპექტაკლში „ვინი პუჰი“ - მსახიობმა ვანო მალლაკელიძემ.

ჯილდო ასევე გადაეცათ ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობ დიმიტრი მელიას ქარხნის მმართველი ვაინშენდის როლის საუკეთესოდ შესრულებისთვის სპექტაკლში „1902 წელს ბათომი“. იუსუფ ზოიძის სახელობის ხულოს პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობ ლაშა აბულაძეს პიერ ბროშანის როლის საუკეთესოდ შესრულებისთვის სპექტაკლში „ბრიყვთა ვახშამი“.

ნაყოფიერი მოღვაწეობისთვის ჯილდო გადაეცათ ბათუმის მუსიკალური ცენტრის ახალგაზრდული მუსიკალური თეატრის სოლისტს ირაკლი გოგიტიძეს, მუსიკალური ცენტრი გუნდის მსახიობ ნუკრი ბერიძეს. ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის მხატვარ ლუკა ბესელიას, ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის რეჟისორის თანაშემწე ნატო ღლონტს, ამავე თეატრის კანცელარიის გამგე ლია ბერიძეს და მთავარ რეკვიზიტორ რუსუდან კეჭეყმაძეს.

ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისთვის ჯილდო გადაეცათ იუსუფ ზოიძის სახელობის ხულოს პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის დირექტორ გურამ აბულაძეს, ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის ჩამცმელ ჟანა კარაპეტიანს. ენტონი ქენდოლინის როლის საუკეთესო შესრულებისთვის სპექტაკლში „მარია კალასის გაკვეთილი“, ჯილდო გადაეცა ბათუმის მუსიკალური ცენტრის მომღერალ-სოლისტ არჩილ გოგიტიძეს, ხოლო ქალის როლის საუკეთესო შემსრულებლად სპექტაკლში „კედელი“ ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობი მერი ნაკაშიძე დასახელდა.

ჯილდო მიიღეს ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობმა ლევან თედორაძემ ავეტიკ გასპარიჩ სარქისოვის როლის საუკეთესოდ შესრულებისთვის სპექტაკლში „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“.

ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისთვის, მურად ხინიკაძის სახელობის ჯილდო ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობ ნოდარ ძიძიგურს გადაეცა.

# ბათუმი გაახარა „ექვთიმეს“ სტუმრობამ

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

*აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით, ბათუმში ორდღიანი გასტროლით ოზურგეთის სახელმწიფო დრამატული თეატრი იმყოფებოდა*





სპექტაკლი „ექვთიმე“ (იდეის ავტორი და დადგმის ხელმძღვანელი - ვასო ჩიგოგიძე, სცენური ვერსია, დამდგმელი რეჟისორი - გოჩა კაპანაძე, მხატვარი - ლომგულ მურუსიძე), რომელიც ოზურგეთის თეატრმა გასტროლის პირველ დღეს შემოგვთავაზა, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით ოქტომბერში დაიდგა. მისივე თანადგომით თეატრმა საგასტროლო ტურნე აღმოსავლეთ საქართველოში განახორციელა. ამჟამად, იგეგმება გასტროლი მესტიასა და სენაკში და რაც განსაკუთრებით საინტერესოა, პარიზშიც აპირებენ გამგზავრებას. აქაური პრემიერა ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის პროფესიულ სახელმწიფო თეატრში გაიმართა. სპექტაკლს აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მაია ხაჯიშვილი დაესწრო. მეორე დღეს ოზურგეთელებმა, საგასტროლო ტურნეს ფარგლებში, ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო პროფესიულ თეატრში მაყურებელს სპექტაკლი „ცის კარი“ შესთავაზა. სპექტაკლში „ექვთიმე“ ჩვენი გამორჩეული წმინდანის ემიგრაციაში ცხოვრების ის მონაკვეთია გადმოცემული, როცა რუდუნებით იცავს ჩვენს ეროვნულ განძს. ადამიანი, რომელსაც საარსებო მინიმუმიც კი არ გააჩნდა, საკუთარ სიცოცხლესავით უფრთხილდებოდა და ხელმოუკიდებლად ინახავდა ეროვნულ განძს. ეს არის ემიგრაციაში ყოფნის ტკივილიანი დღეები, სამშობლოში დაბრუნების დიდი სურვილი. საინტერესო სპექტაკლმა სრული ანშლაგით ჩაიარა. დიდხანს უკრავდა ტაშს ფეხზე დამდგარი პუბლიკა მსახიობებს, შემოქმედებით კოლექტივს.

ოზურგეთის ალექსანდრე წუწუნავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ვასილ ჩიგოგიძემ მადლობა გადაიხადა მასპინძლობისთვის და აღნიშნა:

- 80-იან წლებში ბათუმში სპექტაკლი რომ დავდგი, მას შემდეგ ამ სცენაზე არ ვმდგარვარ. დიდი სიყვარულით მოგესალმებით. დღეს საოცრად ბედნიერი და ამაყი ვარ, ასე თბილად რომ მიიღეთ „ექვთიმე“ - ეს არის ჩვენი ტრილოგიის მესამე ნაწილი (პირველი იყო „გურიის უკანასკნელი დედოფალი“, მეორე - „რესპუბლიკა“). ამით დავასრულეთ გურიის ბოლო ორასწლოვანი ისტორიის რაღაც დიდი ეტაპი. მადლობელი ვარ, რომ ჩვენ ეს ერთად შევძელით. რაც შეეხება ამ სპექტაკლს, გასტროლი გვქონდა თბილისში, თელავში, გორში და იმედი მაქვს, მალე პარიზშიც გავემგზავრებით ისევ საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით, მადლობა ქალბატონ თეა წულუკიანს ამისთვის. რაც შეეხება გასტროლს ბათუმში და ორდღიან სპექტაკლებს, ეს ყველაფერი აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, ქალბატონ მაია ხაჯიშვილის დამსახურებაა. ეს იყო მისი ოზურგეთში ყოფნის დროს დანაპირები, რაც შეასრულა. ულრმესი მადლობა ამისთვის. მადლობა დღევანდელი დღისთვის ჩვენს შემოქმედებით კოლექტივს, ტექნიკურ პერსონალს და გამორჩეულად, მაყურებელს, რომელმაც მხურვალე ტაში არ დაიშურა.

- დღეს ოზურგეთის თეატრს ვმასპინძლობთ. ეს მნიშვნელოვანი გასტროლია. მაყურებელმა საოცრად მიიღო სპექტაკლი. ხანგრძლივი აპლოდისმენტები, რაც მოჰყვა სპექტაკლის ფინალს და ის ემოციები, რომელიც დარბაზში სუფევდა, ნათლად მიუთითებს, რომ გასტროლი წარმატებით შედგა. თეატრებს შორის თანამშრომლობა ძალიან მნიშვნელოვანია, ეს კიდევ უფრო აახლოებს მათ ერთმანეთთან. განსაკუთრებით ხაზგასასმელია დარბაზში ახალგაზრდების სიმრავლე, რომლებმაც, ვფიქრობთ, სხვაგვარად შეაფასეს და დააფასეს ჩვენი ქვეყნის ისტორიის ეს მონაკვეთი. ჩემი აზრით, ძალიან სწორად იყო მოტანილი ის ისტორიული ფაქტები და აქცენტები, რომლებიც მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის უკეთესი მომავლისთვის. ახალგაზრდებისთვის ჩვენი ისტორიის ცოდნა, მისი ასეთი ფორმით წარმოჩენა ძალიან ბევრს ნიშნავს. დარბაზმა ნათლად გამოხატა თავისი პოზიცია, - აღნიშნა მაია ხაჯიშვილმა. როგორც მთავარი როლის შემსრულებელმა გიორგი დოლიძემ გვითხრა, ამ სახელწოდების პიესა საქართველოში აქამდე არ განხორციელებულა.

- სცენაზე პირველად დაიდგა და ორმაგად სასიხარულოა, რომ გურული წმინდანის სახე, რომელიც ჩვენს კუთხეში აღიზარდა, პირველად მე განვახორციელე. რაც შეეხება შთაბეჭდილებებს, ცოტათი შორიდან დავიწყებ. უნივერსიტეტი ბათუმში დავამთავრე რევაზ მირცხულავას ჯგუფში და ჩემთვის ორმაგად სასიხარულო იყო დღევანდელი საღამო. სავსე დარბაზი, მაყურებელი ზუსტად რეაგირებდა ჩვენი ჩანაფიქრის თითოეულ დეტალზე - აპლოდისმენტებით, ცრემლებით, ემოციებით. საოცარია ბათუმელი მაყურებელი. დღეს რაღაც გაცვლით პროგრამასავით გამოვიდა - ბათუმის თეატრიც ჩამოდის ჩვენთან, სპექტაკლებით, ახლა კი ჩვენც ჩამოვედით და ვითამაშეთ. გოჩა კაპანაძემ ეს როლი რომ მომანდო, ძალიან ვინერვიულე, რადგან უდიდესი პასუხისმგებლობა იყო. ჩემი ექვთიმე რომ მაყურებელს არ მიეღო, ჩემთვის ტრაგედია იქნებოდა. სანერვიულო იყო, რადგან წმინდანის განსახიერება მომიწია, რაც ძალიან რთული და საპასუხისმგებლოა, თან როგორი ადამიანის, მან საქართველოს განძი, საუნჯე შეუნახა ჩვენს ქვეყანას. ამასთან, ბათუმი ჩემთვის მშობლიური ქალაქია, ამ თეატრში მყავს უამრავი მეგობარი, კიდევ ამიტომ იყო ამ სცენაზე თამაში განსაკუთრებით საპასუხისმგებლო, - გვითხრა გიორგი დოლიძემ.

ჩავიწერეთ ბათუმელი მაყურებლების შთაბეჭდილებებიც.

**ვახტანგ ღლონტი, პოეტი:**

- სუნთქვა რადენჯერმე მქონდა გახშირებული, ერთი-ორჯერ ცრემლიც წამომივიდა. არაერთხელ მითქვამს, რომ ხანდახან ერი გამოარჩევს ხოლმე თითზე ჩამოსათვლელ ადამიანებს, რომლებიც საუკუნეობრივ ტვირთს იღებენ საკუთარ თავზე და რაც ყველას საზიდია, იმას რამდენიმე კაცი ტვირთულობს. თუ ილია ჭავჭავაძემ ხელახლა შექმნა საქართველო, ექვთიმე თაყაიშვილმა იგი გადაარჩინა. სასიხარულოა, რომ სამინისტრომ შეძლო ასეთი საღამოს ხელშეწყობა, დარბაზში იმდენი ბედნიერი სახე ვნახეთ, რომ ეს ნამდვილად ღირდა.

**თემურ კეჭერაძე, ხელოვნების უნივერსიტეტის რექტორი:**

- აღფრთოვანებული ვარ, მსახიობები შესანიშნავად თამაშობდნენ. თემა იყო მძიმე, ისეთი, როგორიც ჩვენი ისტორიაა. კარგად გაკეთებული სპექტაკლია... დიდი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე და ზოგადად, მაყურებელზე. ეს სპექტაკლი ახალგაზრდობისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და საბედნიეროდ, ბევრი ახალგაზრდა იყო დარბაზში. დღეს ასეთ პატრიოტულ თემაზე დადგმული ნაწარმოებები გვჭირდება, სადაც ქართული სული ტრიალებს.

**ელისაბედ დარჩია, ბათუმის კერძო სკოლა „ნიკეს“ მეცხრეკლასელი:**

- ძალიან მომეწონა სპექტაკლი, იყო საინტერესო სცენები, ლამაზი დეკორაცია, რამაც კიდევ უფრო დაამშვენა სპექტაკლი და ექვთიმეს ცხოვრების ეს მონაკვეთი ძალიან საინტერესოდ გადმოგვცა. მანამდე ექვთიმეს შესახებ ყველა კლასში პატარ-პატარა ინფორმაციას გვაცნობდნენ, მეცხრე კლასში კი ყველაფერი შევაჯამეთ, თუმცა ამ სპექტაკლით უფრო მეტი დეტალი გავიგეთ.

**ნია აბაშიძე, კერძო სკოლა „ნერგების“ მეცხრეკლასელი:**

- აქამდე ექვთიმე თაყაიშვილზე კი ვიცოდი, რომ საქართველოს განძის გადამრჩენი იყო, მაგრამ ამის სპექტაკლში ნახვა ძალიან სასიამოვნო იყო. ძალიან მომეწონა, ემოციებში ვარ. ასეთი სპექტაკლები ხშირად უნდა იდგმებოდეს, რადგან ბევრს მისცემს განსაკუთრებით მათ, ვისაც ეს ნაწარმოები შესწავლილი არ აქვს. ასეთი სპექტაკლი მათში ეროვნულ ცნობიერებას გაზრდის.

**მარიამ ჯახუტაშვილი, ბათუმის მუსიკალური ცენტრის საოპერო სტუდიის ვოკალის პედაგოგი:**

- ასეთი სიამოვნება დიდი ხანია არ მიმიღია. ბრწყინვალე მსახიობებია. ძალიან მომეწონა მთავარი როლის შემსრულებელი გიორგი დოლიძე. სპექტაკლი იყო ემოციური, ძალიან ქართული. ჩვენმა ბავშვებმა ასეთი სპექტაკლები ხშირად უნდა ნახონ, რათა არ დაივიწყონ საქართველოს ისტორია, ჩვენი საამაყო ქართველები. დიდი სიამოვნებით ვნახავდი ამ სპექტაკლს მეორედაც.

**ნინო დავითაშვილი, თეატრალური ხელოვნების დოქტორი, ხელოვნების უნივერსიტეტის მსახიობის ოსტატობის პედაგოგი, რეჟისორი და მსახიობი:**

- დღეს სპეციალურად მოვედი, ჩვენი უნივერსიტეტის კურსდამთავრებული გიორგი დოლიძე თამაშობდა. გვაინტერესებდა, რადგან კარგა ხანია დაასრულა სწავლა სამსახიობო ფაკულტეტზე და ვნახეთ, როგორ გაზრდილა პროფესიულად. ძალიან საინტერესოდ მუშაობდა, სპექტაკლში საინტერესო შეფასებები ჰქონდა. სხვა კურსდამთავრებულებიც მაინტერესებდა - გიორგი ჩავლეშვილი, მარიკა ასათიანი, მარი ხანთაძე... ეს სპექტაკლი ისეთი დონისაა, რომ ნებისმიერი თეატრის სცენას დაამშვენებდა. საერთოდ, უნდა ვთქვა, რომ ამ ბოლო წლებში ოზურგეთის თეატრი გაბრწყინდა და ეს ვასო ჩიგოგიძის დიდი დამსახურებაა, ასევე, დირექტორ ზაზა ჯინჭარაძის. მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ საინტერესო ფესტივალებსაც ატარებენ, მათ შორის ნოდარ დუმბაძის სახელობის, სადაც თითქმის ყველა ქართული დასი მონაწილეობს.

გასტროლის მეორე დღეს ოზურგეთისა და ბათუმის თეატრების მსახიობთა ერთი ჯგუფი „ზღვის ბიჭებმა“ მიიპატიჟეს. ვინც არ იცით, გეტყვით, რომ ესენი არიან ღვაწლმოსილი ადამიანები, რომლებიც ყოველ დილით ბულვარში იკრიბებიან, სეირნობენ, ვარჯიშობენ, მერე ერთად ყავასაც მიირთმევენ და საინტერესოდ ატარებენ დროს, მათ შორის არიან: გია ბეჟანიძე (პრეზიდენტი), სულიკო ინაიშვილი, ავთანდილ ბეჟანიძე, მურმან კეკელიძე, აკადემიკოსები ვანო და გურამ პაპუნიძეები... სწორედ მათ მიიპატიჟეს სტუმართა და მასპინძელთა ერთი ნაწილი იახტაზე „იბერია ტური“ და გაშლილ ზღვაში ორსაათიანი გასეირნება მოუწყვეს. ამ საქმეში დიდია მსახიობ ზურა შილაკაძის წვლილი. საქმე იმაშია, რომ როცა „ექვთიმე“ დაიდგა, „ზღვის ბიჭები“ ოზურგეთის თეატრმა პრემიერაზე მიიწვია და იქ გულთბილად გაუმასპინძლდნენ. ჰოდა, ბათუმელებმაც შესაფერისი მასპინძლობა გაუწიეს ოზურგეთელებს. იახტაზე სუფრაც გაუშალეს და ორი თეატრის მეგობრობის სადღეგრძელოც შესვეს.